

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი



ნონა ჭანუყვაძე

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზი მაჩვენებელთა სისტემის
გამოყენებით - შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდის“ მაგალითზე

ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი - თეა მუნჯიშვილი

თბილისი

2019

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდრის“ არსებული ფინანსური მდგომარეობა და შეფასებულია ფინანსური მდგრალობა.

ნაშრომი ეხება შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდრის“ ფინანსური ანგარიშგების ანალიზს, სადაც აღწერილია კომპანიის შესახებ ზოგადი ინფორმაცია და ფინანსური მონაცემები, გაანალიზებულია საწარმოს ლიკვიდურობა და ფინანსური მდგრალობა კოეფიციენტების მეშვეობით, ასევე შეფასებულია საწარმოს მომგებიანობა, განხორციელებულია საწარმოს გაკოტრების ანალიზი ალტმანისა და სპრინგეითის მოდელების მეშვეობით.

ფინანსური ანგარიშგების ანალიზის შედეგად გაკეთებულია დასკვნები საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მომგებიანობის შესახებ, ასევე შემუშავებულია გარკვეული რეკომენდაციები მიღებული შედეგებიდან გამომდინარე.

წარმოდგენილი ფინანსური მონაცემები, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას.

ნაშრომი შესრულებულია ზოგადი მენეჯმენტის, აუდიტის, ფინანსური მენეჯმენტის, ფინანსური ანალიზის და საერთაშორისო სტანდარტების შრომების საფუძველზე და დასაბუთებულია თემის აქტუალობა. ჩატარებული კვლევა შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2014, 2015, 2016 და 2017 წლების მდგომარეობით.

Annotation

Analysis of a company's financial position within applied indicator system

(on the example of Georgian Water and Power Ltd.)

Nona Tchanukvadze

The presented Master's thesis deals with the financial statements, as the unit of analysis and the role of a company's financial position, financial stability and profitability assessment. The above-mentioned is dispensed according to analysis of financial statements of Georgian Water and Power Ltd. The financial evaluation of the company is based on the usage of selected methods of financial analysis during the period of 2014-2017. The paper foremost discusses the theoretical aspects of analytical significance of the statements and the principle and purpose of financial reporting. Components of financial reporting are discussed together with their role and analytic importance. The thesis further refers to analysis of the financial statement of GWP Ltd, which assesses the company's liquidity. Financial stability is analyzed through a number of factors, it also embodies the company's business activity analysis, estimates the company's profitability and investment efficiency. Analysis of bankruptcy of the enterprise is carried out based on Altman and Springate models. Conclusions about the company's financial position and profitability are speculated on the basis of analyzing its financial statements. Furthermore, the problems precluding complete analysis of financial reports in Georgia have been underlined, i.e. the matter of transparency of financial reporting. Certain recommendations have been worked out from the results.

შინაარსი

შესავალი.....	5
თავი1.ფინანსური ანგარიშგების ანალიზური მნიშვნელობა და ანალიზის საკითხები	
1.1 ფინანსური ანგარიშგების არსი და ანალიზური მნიშვნელობა.....	8
1.2 საწარმოს ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციული წყაროები.....	15
1.3 საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების ფინანსური კოეფიციენტების სისტემა.....	27
თავი 2. შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ფინანსური მდგრადობის ანალიზი და შეფასება	
2.1 ინფორმაცია კომპანიის შესახებ და ფინანსური მდგომარეობის ზოგადი მიმოხილვა.....	38
2.2 საწარმოს ფინანსური მდგრადობის ანალიზი და შეფასება.....	48
2.3 საწარმოს მოგებისა და მომგებიანობის ანალიზი.....	62
2.4საწარმოს ლიკვიდურობის ანალიზი.....	74
2.5 საწარმოს გაკოტრების ანალიზი.....	77
დასკვნა	82
გამოყენებული ლიტერატურა	86

შესავალი

სწორი ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებაში კომპანიას ეხმარება ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის ფინანსური შედეგების სტრუქტურულად ჩამოყალიბებულ სურათს წარმოადგენს. მისი მიზანია საწარმოს რესურსების და მათი ფორმირების წყაროების, ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ ისეთი ინფორმაციის მიწოდება მომხმარებელთა ფართო წრისათვის, რომელიც მათ სასარგებლო გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარება.

თემის აქტუალობა

შეუძლებელია, ეკონომიკურმა სუბიექტებმა მხოლოდ საკუთარი ძალებით განახორციელონ საქმიანობა, იმიტომ რომ თითოეულ მათგანს უამრავი სახის საფინანსო ეკონომიკური კავშირები გააჩნიათ ერთმანეთთან. ეს კავშირები კი თანამედროვე ეკონომიკაში იმდენად მჭიდროა, რომ ნებისმიერი ტიპის კომპანიაში მომხდარი არაადეკვატური ქმედებები გადაეცემა მთლიან ეკონომიკურ სისტემას. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი აღრიცხვის წარმოებისა და ანგარიშგების მომზადების ერთიანი მეთოდის გამოყენება მთელ მსოფლიოში.

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, საწარმოსთან დაკავშირებულ მხარეებს შესაძლებლობა ეძლევათ, მიიღონ სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილება საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების და ნეგატიური შედეგების თავიდან აცილების თვალსაზრისით.

მიზანი

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია, წარმოაჩინოს ფინანსური ანგარიშგების როლი და ანალიზური ღირებულება კომპანიის ფინანსური ანალიზის განხორციელების დროს. სწორედ ამიტომ, მოყვანილია ის თეორიული ასპექტები და მეთოდები, რასაც ემყარება

ფინანსური ანგარიშგების ანალიზი, ასევე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების ანალიზის პრაქტიკული მხარე კონკრეტული საწარმოს ფინანსური ანგარიშგების მაგალითზე, რომელიც ნათლად ასახავს ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მნიშვნელოვან საკითხებს.

სამაგისტრო ნაშრომის ამოცანებია

კვლევისას წარმოიშვა შემდეგი ამოცანები: საკვლევი ობიექტის ამორჩევა ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მიზნით, ფინანსური ანგარიშგების ანალიზთან დაკავშირებული სრულყოფილი ინფორმაციის მოძიება, სხვადასხვა ლიტერატურის გაცნობა, ფინანსური ანგარიშგების ანალიზისთვის შესაბამისი მეთოდებისა და ინდიკატორების შერჩევა, მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი, დამუშავება და შემდეგ ნაშრომში საჭირო ინფორმაციის შეტანა.

კვლევის ობიექტი

კვლევის ობიექტია ის კომპანია, რომელიც ამომწურავად შეესაბამება დასმულ ამოცანებს და იძლევა შესაძლებლობას ფინანსური ანგარიშგების ანალიზური მნიშვნელობის სრულყოფილი წარმოჩენისთვის. აღნიშნული კომპანია არის შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“, რომელიც დარეგისტრირდა 1997 წელს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა წყალმარაგებისა და ჩამდინარე წყლების შეგროვება, მომსახურების გაწევა იურიდიული პირებისთვის და ქალაქ თბილისისა და მიმდებარე სოფლების მოსახლეობისთვის. კომპანიას აქვს არაერთი საერთაშორისო სერთიფიკატი აღებული და ხასიათდება მაღალი ხარისხის სანდოობით, ფინანსური მდგრადობით და სისტემური მენეჯმენტით.

კვლევის შედეგი

კვლევის შედეგი არის განხილული კოეფიციენტების გამოყენებით დადებითი და უარყოფითი ტენდენციების გამოვლენა. ხოლო რაც შეეხება მათი გადაჭრის გზებს, ამ მიზნით შემუშავებულია შესაბამისი რეკომენდაციები.

კვლევის სიახლე

ნაშრომში გამოყენებულია გრაფიკები, ცხრილები და ასევე, დიაგრამები. მკითხველისთვის თვალსაჩინოა სხვადასხვა მაჩვენებლის გამოთვლისას მიღებული შედეგები და ნათლადაა წარმოდგენილი აღნიშნული კოეფიციენტების ცვლილების დინამიკა წინა წლებთან შედარებით.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საინფორმაციო რესურსები:

ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის ინფორმაციული უზრუნველყოფის წყაროს წარმოადგენს შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ფინანსური ანგარიშგებები. რაც შეეხება ნაშრომის თეორიულ საფუძველს, გამოყენებულია ქართველი და უცხოელი მკვლევარების ნაშრომები ასევე, ინტერნეტ წყაროები.

კვლევის მეთოდოლოგია

არსებული მიზნებიდან გამომდინარე, შეირჩა სათანადო კვლევის მეთოდოლოგია, კერძოდ კვლევის ობიექტის ფინანსური ანგარიშგების ანალიზისთვის გამოყენებულია სხვადასხვა ტიპის ფინანსური კოეფიციენტები.

1. ფინანსური ანგარიშგების ანალიზური მნიშვნელობა და ანალიზის საკითხები

1.1 ფინანსური ანგარიშგების არსი და ანალიზური მნიშვნელობა

საწარმოს მიერ ფულადი საშუალებებისა და მათი ექვივალენტების გამომუშავების შესაძლებლობათა შესაფასებლად, მათი საიმედოობისა და დროულობის დასადგენად, რომელიც აუცილებელია მომხმარებლის მიერ ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად, გარკვეული სახის ინფორმაციაა საჭირო. ამ ინფორმაციის საფუძველზე განისაზღვრება საწარმოს შესაძლებლობა დაფაროს ვალდებულებები, გაანაწილოს მოგება მფლობელთა შორის. სწორედ ასეთი სახის ინფორმაცია იყოს თავს ფინანსურ ანგარიშგებაში.¹

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მიხედვით, რომელიც მიიღეს 2016 წელს, დადგენილია საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, ფინანსური ანგარიშგების, მმართველობის ანგარიშგების და სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების შესახებ ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სამართლებრივი საფუძვლები.

ამ კანონის მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ ფინანსური გამჭვირვალობისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა სუბიექტთა ანგარიშგებისა და აუდიტის მარეგულირებელი შესაბამისი ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნებთან მიახლოებითი იყოს.

¹ჭილაძე ი., „ფინანსური ანალიზი“, თბილისი 2018 წელი

როგორც უკვე აღინიშნა, კომპანიები ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებენ ამ კანონის შესაბამისად, სულ მცირე წელიწადში ერთხელ. რასაკვირველია, შედგენილი ფინანსური ანგარიშგება უნდა იყოს სრული, სწორი და სამართლიანი. იგი შესადარი პერიოდისთვის აუცილებლად უნდა ასახავდეს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას, საქმიანობის შედეგებს, ფულადი სახსრებისა და კაპიტალის მოძრაობას, ასევე განმარტებით შენიშვნებს. ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრულ ფუნდამენტურ ხარისხობრივ მახასიათებლებს.

როგორც წესი, კომპანიამ მისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისად შერჩეული სააღრიცხვო პოლიტიკა და მეთოდები თანამიმდევრულად უნდა გამოიყენოს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ განსხვავებული ფინანსური ანგარიშგების სააღრიცხვო პოლიტიკა და მეთოდები უფრო სამართლიანად და მიუკერძოებლად ასახავს სუბიექტის ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობას. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სუბიექტის მიერ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მეთოდების შეცვლა დასაშვებია მხოლოდ მის მიერ არჩეული ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების ფარგლებში.

საყურადღებოა, რომ ფინანსური ანგარიშგების ამსახველ დოკუმენტში აუცილებლად უნდა მიეთითოს კომპანიის სახელწოდება, მარეგისტრირებული ორგანო, სუბიექტის რეგისტრაციის ნომერი, სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი და, თუ დაწყებულია სუბიექტის ლიკვიდაციის პროცესი, ინფორმაცია ლიკვიდაციის პროცესის შესახებ.

ბუმებრივია ის ფაქტი, რომ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საწარმოს განკარგულებაში არსებული ეკონომიკური რესურსები, მისი სტრუქტურა, ლიკვიდურობა და საწარმოს გადამხდელუნარიანობა. თავის მხრივ, ასეთი ინფორმაცია საშუალებას იძლევა განისაზღვროს საწარმოს მიერ მომავალში ფულისა და ფულადი ეკვივალენტების მიღების უნარი. რაც შეეხება ინფორმაციას, ფინანსური სტრუქტურის შესახებ, მასზე დაყრდნობით სესხებზე მიმდინარე მოთხოვნის

განსაზღვრის, მფლობელთა შორის მომავალი მოგებისა და ფულადი სახსრების განაწილების წესის დადგენის შესაძლებლობა იძლევა.

კომპანიის ხელმძღვანელობას სჭირდება ინფორმაცია საწარმოს საქმიანობის შედეგების ცვლილებების შესახებ, რათა მოახდინონ პროგნოზირება საწარმოს განკარგულებაში არსებული რესურსების საფუძველზე, რა რაოდენობის ფულადი საშუალებების გამომუშავების უნარი გააჩნია საწარმოს. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შეაფასებენ საწარმოს საინვესტიციო, ფინანსურ, ასევე სამეურნეო საქმიანობას და შეიმუშავენ რაციონალურ ფინანსურ ღონისძიებებს.

ინფორმაცია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ბუღალტრულ ბალანსშია ასახული. მონაცემებს საწარმოს საქმიანობის ეფექტურობის შესახებ მოიცავს ანგარიშგება მოგებისა და ზარალის შესახებ. ხოლო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საკუთარ კაპიტალში მომხდარი ცვლილებები შესაბამისად, ასახულია ანგარიშგებაში კაპიტალის მოძრაობის შესახებ.

შეგვიძლია, ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის მომხმარებლები პირობითად ორ ჯგუფად დავყოთ: შიდა მომხმარებლები და გარე მომხმარებლები. შიდა მომხმარებლები – საწარმოს სამმართველო პერსონალია, რომელიც სააღრიცხვო ინფორმაციის ბაზაზე ლეზულობს სხვადასხვა საწარმოო და ფინანსური ხასიათის გადაწყვეტილებებს. ამგვარს მიეკუთვნება: მომდევნო წლისათვის ფინანსური გეგმის შედგენა, რეალიზაციის მოცულობის განსაზღვრა, მისი შეცვლა, საწარმოს რესურსების ინვესტირების მიმართულების განსაზღვრა, კრედიტების მოზიდვის მიზანშეწონილობის დადგენა და სხვა. ცხადია, სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად დროული, სრული და ზუსტი ინფორმაციაა აუცილებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, საწარმომ შეიძლება განიცადოს ზარალი ან გაკოტრდეს კიდევ.

მეორე ჯგუფს მიეკუთვნებიან ინფორმაციის მომხმარებლები, რომლებიც წარმოების საქმიანობით უშუალოდ არ არიან დაინტერესებულნი, მაგრამ ინფორმაცია მათთვის აუცილებელია, რათა დაიცვან მომხმარებელთა პირველი ჯგუფის ინტერესები. მათ მიეკუთვნებიან:

- აუდიტორული ფირმები;
- ფასიანი ქაღალდების ბირჟები;
- საფინანსო და სტატისტიკური ორგანოები;

- დაინტერესებული პირნი იმ ინფორმაციით, რომლითაც ხდება თანამშრომელთა ხელფასებისადმი თავიანთი მოთხოვნების დასაბუთება და შრომითი ხელშეკრულებების პირობების განსაზღვრა, აგრეთვე, იმ დარგის განვითარების ტენდენციების შეფასება, რომელსაც მოცემული საწარმო მიეკუთვნება;

როგორც ზემოთ აღინიშნა, ფინანსური ანგარიშგების უპირველესი მიზანი არის მომხმარებელთა ფართო წრეს გააცნოს ზუსტი და შესაბამისი ინფორმაცია საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მისი მომგებიანობის შესახებ, გარდა ამისა, მომხმარებელთა ამ ფართო წრიდან თითოეულს თავისი ინტერესი აქვს, განვიხილოთ უფრო კონკრეტულად თითოეული მათგანი.

ფინანსური ანგარიშგების მეშვეობით ინვესტორები, კომპანიის მფლობელები ეცნობიან მათ მიერ დანიშნული მენეჯერების საქმიანობას, ისინი აკონტროლებენ იმას თუ რამდენად ეფექტიანად მართავენ მენეჯერები მათ მიერ ინვესტირებულ კაპიტალს, განსაზღვრავენ არსებულ და პოტენციურ პრობლემებს, გამოწვევებს და ადგენენ მომავალი ბიზნეს საქმიანობის განვითარების გეგმას.²

რა თქმა უნდა, ფინანსური ანგარიშგება მნიშვნელოვანი სიგნალების მატარებელია პოტენციური ინვესტორებისთვის, რომელთაც სურთ კომპანიის საქმიანობაში ფულადი სახსრების დაბანდება, მაგრამ ისევე როგორც ყველა, ინვესტორებიც ცდილობენ მიიღონ რაციონალური გადაწყვეტილებები და თანხები რაც შეიძლება მომგებიანად დააბანდონ, ამისთვის მათ სჭირდებათ ინფორმაცია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის, ფინანსური მდგრადობისა და მომგებიანობის შესახებ.

²Fernando Avarez and Martin Fridson – Financial statement analyzis, third edition. Published by John Wiley & Sons, Inc., New York 2002, გვ 4.

ფინანსური ანალიზი არანაკლებ მნიშვნელოვანია საწარმოს კრედიტორებისთვის, რომლებიც დაინტერესებული არიან საწარმოს ფინანსური სტაბილურობით, რათა დაადგინონ რამდენად დროულად დაიფარება გაცემული კრედიტი და პროცენტი კრედიტით სარგებლობისთვის.

უჩვეულოა მომხმარებლების დაინტერესება საწარმოს ფინანსური მდგომარეობით, თუმცა ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. დამკვეთი დაინტერესებულია, მას სურს დარწმუნებული იყოს, რომ მომწოდებელი დროულად შეძლებს დაკვეთისა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, აღნიშნული კი სრულადაა დამოკიდებული საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე.

რაც შეეხება მთავრობას და სამთავრობო უწყებებს, ისინი დაინტერესებულნი არიან რესურსების განაწილებითა და ეფექტური გამოყენებით, შესაბამისად საწარმოს საქმიანობითა და მისი ფინანსური მდგომარეობით. სახელისუფლებო ორგანოები მოითხოვენ ინფორმაციას ეროვნული შემოსავლების აღრიცხვისა და მოწესრიგებული სტატისტიკის საწარმოებლად, რაც საბოლოოდ ემსახურება სწორი და ეფექტურად დაგეგმილი ფისკალური პოლიტიკის წარმოებას სახელმწიფოს მიერ.

ბუნებრივია ის ფაქტიც, რომ დაქირავებული მუშაკები დაინტერესებული არიან მათი დამქირავებლის ფინანსური მდგომარეობით, საწარმოს სტაბილურობითა და მომგებიანობით, რადგან სწორედ აღნიშნულზეა დამოკიდებული მათი დასაქმება, შრომის ანაზღაურება, შრომის პირობები, საპენსიო უზრუნველყოფა და სხვა. რაც შეეხება პროფკავშირულ ორგანიზაციებს, საწარმოს ფინანსური ანგარიშგება, საშუალებას აძლევს პროფკავშირულ ორგანიზაციებს განსაზღვრონ:

- ემუქრება თუ არა დაქირავებულ ნაწილს დათხოვნა, ხელფასების შემცირება, შრომის პირობების გაუარესება;
- რამდენად მოსალოდნელია საწარმოს საქმიანობის შეკვეცა ან შეწყვეტა.

ყურადღებას გაამახვილებდით იმაზე, რომ საწარმოს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა შორის ნახსენები არ არიან საწარმოს ხელმძღვანელობა და საგადასახადო, ფისკალური ორგანოები. საქმე იმაში გახლავთ, რომ საწარმოს ფინანსური ანგარიშგება

დგება სამეურნეო წლის შედეგების მიხედვით, წლის დასრულების შემდეგ, ამდენად სავსებით ბუნებრივია, რომ საწარმოს ადმინისტრაცია და საგადასახადო ორგანოები ვერ დაელოდებიან წლის დასრულებას იმისთვის, რათა მიიღონ ინფორმაცია საწარმოს სამეურნეო საქმიანობის შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

საწარმოს ხელმძღვანელობა სისტემატურად და ოპერატიულად აკონტროლებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას მმართველობითი ბუღალტრული აღრიცხვის მეშვეობით. საგადასახადო ორგანოები კი მთელი წლის განმავლობაში დებულობენ აუცილებელ ინფორმაციას საგადასახადო დეკლარაციების, ცნობების, კამერალური, გასვლითი და საკონტროლო საგადასახადო შემოწმების შედეგად.

რაც გავეცანით ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებსა და მათ ინტერესებს, ფინანსური ანგარიშგების არსთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ მასში აკუმულირებული ინფორმაციის საშუალებით იგი პასუხობს კითხვებს:

- ხდება თუ არა მოგების რეინვესტირება ბიზნესში;
- აქვს თუ არა ბიზნესს საკმარისი კაპიტალი მომავალი ზრდისა და განვითარებისთვის?;
- როგორია აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთფარდობა?;
- როგორია ფულადი სახსრების მოძრაობა და შეიძლება თუ არა კომპანიის საპროგნოზო შემოსავლებით მოემსახუროს ხარჯებს?;
- როგორ ახდენს ბიზნესი კაპიტალის ფორმირებას და რამდენად ეფექტიანად იყენებს არსებულ საშუალებებს?.

რასაკვირველია, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები უკეთ შეაფასებენ საწარმოს ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების გამომუშავების უნარს, თუკი ხელთ ექნებათ ინფორმაცია, რომელიც ფოკუსირებულია საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, საქმიანობის შედეგებსა და ფინანსური მდგომარეობის ცვლილებებზე.

ზოგადად, ანალიზი არის კვლევითი აზროვნების ერთ-ერთი მეთოდი. გულისხმობს კონკრეტული მოვლენის შედეგის სიღრმისეულ შესწავლას ამ მოვლენის ცალკეულ ნაწილებად დაშლის, მასზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენის და მიზეზშედეგობრივი

კავშირის დადგენის საფუძველზე. ანალიზი, როგორც კვლევის მეთოდი გამოიყენება მეცნიერების სხვადასხვა დარგში. არსებობს მათემატიკური, სტატისტიკური, ქიმიური, ისტორიული და სხვა ტიპის ანალიზი.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის სათანადო სტრატეგია საშუალებას იძლევა თავიდან იქნეს აცილებული არაეფექტური ფინანსური გადაწყვეტილებები, რამაც შეიძლება შეუქცევადი ხასიათი მიიღოს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საწარმოს ფინანსური ანალიზის საბოლოო მიზანია საწარმოს ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის, ამ რესურსების განთავსების მიზანშეწონილობის, გამოყენების ეფექტიანობის, მგრადობის, გადახდისუნარიანობის დადგენა. ამის მისაღწევად მიზანშეწონილია ფინანსური მდგომარეობის ანალიზის სტრატეგიის შემდეგი ძირითადი მიმართულებები:

1. ფინანსური მდგომარეობის ანალიზის გეგმის შემუშავება და მისი შედეგების პროგნოზული შეფასება;
2. ფინანსური მდგომარეობის შეფასებისთვის აუცილებელი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების შერჩევა და მათი მნიშვნელობის დასაბუთება;
3. ფინანსური მდგომარეობის ანალიზისთვის საჭირო ინფორმაციის შერჩევა და მომზადება;
4. ანალიზის ჩამტარებელი კვალიფიციური კადრების შერჩევა.

ფინანსური ანგარიშგების ანალიზის ამოცანები შეიძლება გამოვყოთ შემდეგი სახით:

1. მომგებიანობის ამაღლების რეკომენდაციების შემუშავება;
2. გადახდისუნარიანობის მდგომარეობის შესწავლა;
3. ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნების წინადადების შემუშავება;
4. საწარმოს ეკონომიკური პოტენციალის ზრდის ფაქტორების გამოვლენა;
5. წარმოებისა და რეალიზაციის ზდის რეზერვების გამოვლენა;
6. ფინანსური რისკების მინიმუმამდე დაყვანის ღონისძიებების შემუშავება;
7. დასაქმების ამაღლების და დასაქმებული პერსონალის სტიმულირების რეკომენდაციების შემუშავება.

ჩვეულებრივ, ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია მხოლოდ გასული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი. იგი ხშირად არ მოიცავს არაფინანსურ ინფორმაციას. ამიტომ ფინანსური ანგარიშგება არ იძლევა მომხარებლისთვის გადაწყვეტილების მისაღებად ამომწურავ ინფორმაციას, მაგრამ მაინც პასუხობს მომხრახელთა უმრავლესობის საერთო მოთხოვნებს.

1.2 საწარმოს ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციული წყაროები

ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს აინტერესებთ ინფორმაცია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ, რომელიც, როგორც წესი, მოიცავს საწარმოს აქტივებს, ვალდებულებებსა და საკუთარ კაპიტალს. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მომხმარებელს შეუძლია დაადგინოს ფინანსური სტრუქტურა, ლიკვიდობა და გადახდისუნარიანობა, აგრეთვე ეკონომიკური გარემოს ცვლილებებთან შეგუების უნარი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოს განკარგულებაში არსებული ეკონომიკური რესურსებისა და წარსულში ამ რესურსების გარდაქმნის უნარის შესახებ ინფორმაცია სასარგებლოა რათა განისაზღვროს საწარმოს მიერ მომავალში ფულისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების წარმოქმნის შესაძლებლობა. ინფორმაცია ფინანსური სტრუქტურის შესახებ სასარგებლოა იმისთვის, რომ შეფასდეს მომავალი მოთხოვნა სესხების მიღებაზე და როგორ განაწილდება მომავალი მოგება და ფულადი სახსრები მესაკუთრეთა შორის. ინფორმაცია საწარმოს ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის შესახებ სასარგებლოა იმისთვის, რომ განისაზღვროს საწარმოს ფინანსური ვალდებულებების დროულად შესრულების უნარი.

ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის ასევე საინტერესოა ინფორმაცია საწარმოს საქმიანობის შედეგების, განსაკუთრებით კი მისი მომგებიანობის შესახებ. საწარმოს საქმიანობის შედეგი მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან მაჩვენებლებს, როგორცაა შემოსავლები და ხარჯები, ეს ინფორმაცია სასარგებლოა საწარმოს მფლობელობაში არსებული რესურსების საფუძველზე, ფულადი სახსრების გამომუშავების უნარის პროგნოზირებისთვის.

ბასს 1-ის, „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების ძირითადი დოკუმენტია:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება პერიოდის დასასრულისათვის (ბალანსი);
- სრული შემოსავლების ანგარიშგება (მოგება/ზარალი);
- საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება;
- ფულადი ნაკადების ანგარიშგება;
- განმარტებითი შენიშვნები, სადაც მოკლედ განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა, ასევე სხვა განმარტებითი შენიშვნები.

ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ნაწილები ურთიერთკავშირშია იმ თვალსაზრისით, რომ ასახავენ ერთიდაიგივე სამეურნეო ოპერაციებისა და მოვლენების სხვადასხვა ასპექტს. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული ანგარიშგება შეიცავს სხვა ანგარიშგებისგან განსხვავებულ ინფორმაციას, არც ერთი მათგანი არ ემსახურება მხოლოდ ერთ მიზანს და ვერც მომხმარებელთა კონკრეტული საინფორმაციო მოთხოვნილებების სრული დაკმაყოფილების საშუალებას იძლევა. მაგალითად, მოგებისა და ზარალის ანგარიშგება სრულად ვერ აღწერს საწარმოს საქმიანობის შედეგებს, თუ არ იქნება განხილული ბუღალტრული ბალანსისა და ფინანსური მდგომარეობის ცვლილებების ამსახველ ანგარიშგებასთან ერთად. ფინანსური ანგარიშგება შეიძლება აგრეთვე შეიცავდეს ცხრილურ დანართებსა და სხვა ინფორმაციასაც, რომლებიც ემყარება ფინანსურ ანგარიშგებას ან გამომდინარეობს მისგან და განიხილება ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად მთლიანობაში.

იმისთვის, რომ ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას ფინანსური ანგარიშგების როლსა და მნიშვნელობაზე, წარმატებული ეკონომიკური გადაწყვეტილების მისაღებად დღევანდელ ბიზნეს გარემოში, აუცილებელია გავცნოთ ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებს. თავდაპირველად განხილვა დავიწყოთ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებით პერიოდის დასასრულისათვის (ბალანსი).

ბუღალტრულ ბალანსს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის სარკეს უწოდებენ, აქედან გამომდინარე იგი ძალზე მნიშვნელოვან საანალიზო ობიექტს წარმოადგენს. მასში მოცემულია საწარმოს რესურსებისა და მათი დაფინანსების წყაროების სტრუქტურა კონკრეტული თარიღისთვის, ანუ ბალანსის აქტივი ასახავს საინვესტიციო გადაწყვეტილებებს, ხოლო, პასივი - გადაწყვეტილებებს დაფინანსების წყაროების არჩევის შესახებ. ბუღალტრული ბალანსი დროის განსაზღვრული მომენტისთვის განზოგადებულად, ფულად ფორმაში ასახავს საწარმოს აქტივებს, ვალდებულებებსა და კაპიტალს, რომლებიც ახასიათებენ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას.

რასაკვირველია, ბუღალტრული ბალანსის როლი ფინანსური ანგარიშგების ანალიზში საკმაოდ მოცულობითი და მნიშვნელოვანია, ნაშრომის შემდეგ თავებში კი უფრო კონკრეტულად იქნება განხილული შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ფინანსური მდგომარეობის შეფასებისთვის.

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ბალანსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები გამოხატულია ლარში)

სურათი 1.2.1

31 დეკემბერი,
2017 წ.

აქტივები	
გრძელვადიანი აქტივები	
ძირითადი საშუალებები	397,332
საინვესტიციო ქონება	10,138
რესტრუქტურირებული სავაჭრო დებიტორული დავალიანება	111
გაცემული სესხები	49,531
შეზღუდული წვდომის დეპოზიტები	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	6,974
სულ გრძელვადიანი აქტივები	464,086
მოკლევადიანი აქტივები	
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	3,033
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	23,062
გაცემული სესხები	1,221
მიმდინარე მოგების გადასახადი აქტივი	61
წინასწარ გადახდილი გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	2,929
გადახდილი ავანსები	1,289
წარმოებული ფინანსური აქტივები	449
შეზღუდული წვდომის დეპოზიტები	7,653
ნაღდი ფული ბანკში	37,049
სულ მიმდინარე აქტივები	76,746
სულ აქტივები	540,832
კაპიტალი	
საწესდებო კაპიტალი	110,559
დამატებით შეტანილი კაპიტალი	2,783
დაგროვილი დანაკლისი	(29,805)
გადაფასების რეზერვი	171,224
სხვა რეზერვები	(5,238)
სულ კაპიტალი	249,523
ვალდებულებები	
გრძელვადიანი ვალდებულებები	
ნასესხები სახსრები	242,414
გადავადებული შემოსავალი	14,818
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	257,232
მოკლევადიანი ვალდებულებები	
ნასესხები სახსრები	946
მიღებული ავანსები	8,310
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	18,292
გადავადებული შემოსავალი	3,137
ვალდებულებების და ხარჯების რეზერვი	417
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები	-
სხვა საგადასახადო დავალიანება	2,975
სულ მიმდინარე ვალდებულებები	34,077
სულ ვალდებულებები	291,309
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	540,832

ბუღალტრულ ბალანსის შემდეგ განვიხილოთ მოგებისა და ზარალის ანგარიშების როლი საწარმოს ფინანსურ ანალიზში.

როგორც უკვე აღინიშნა, მოგებისა და ზარალის ანგარიშება ფინანსური ანგარიშების მეორე მთავარი კომპონენტია. იგი შედგება საანგარიშგებო პერიოდის შემოსავლებისა და ხარჯების ელემენტებისგან ამდენად, წარმოადგენას ქმნის საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ შედეგებზე.

მოგება-ზარალის ანგარიშებაში შეიტანება ყველა შემოსავალი და ხარჯი გარკვეული თანმიმდევრობით, მონაცემების შეტანის პრინციპს კი განსაზღვრავს მოგება-ზარალის შედგენის მეთოდი. ბასს 1-ის მიხედვით, მეთოდების შერჩევას განაპირობებს ხარჯების კლასიფიკაცია. მოგება-ზარალის ანგარიშების საფუძველზე ხდება იმის შესწავლა, თუ რამდენად კარგად მიმდინარეობს საწარმოს ბიზნეს საქმიანობა, როგორია ფულადი სახსრების გამომუშავების უნარი და რამდენად აღემატება გაწეული ხარჯები მიღებულ შემოსავლებს, იგი ასე ვთქვათ აჩვენებს საწარმოს მენეჯმენტის საქმიანობის საბოლოო შედეგებს.

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშება
2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(თანხები გამოხატულია ლარში)

სურათი 1.2.2

	<i>2017</i>
შემოსავალი წყალმომარაგებიდან	107,766
შემოსავალი ელექტროენერჯის რეალიზაციიდან	6,423
სხვა შემოსავალი	4,535
სულ შემოსავალი	118,724
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(17,460)
ელექტროენერჯის და გადაცემის ხარჯები	(12,962)
ნედლეული, საწვავი და სხვა სახარჯი მასალები	(2,590)
ტექნიკური მომსახურების ხარჯი	(3,116)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(3,473)
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	(3,339)
პროფესიული გასამრჯელო	(2,279)
სავაჭრო დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი	(656)
რეზერვების შემობრუნება / (შექმნა) და იურიდიულ სარჩელებთან დაკავშირებული ხარჯები	2
სხვა შემოსავალი	1,738
სხვა საოპერაციო ხარჯები	(10,892)
	(55,027)
შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე	63,697
ფინანსური შემოსავალი	5,049
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	(13,793)
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი	(695)
ცვეთა და ამორტიზაცია	(17,771)
არარეგულარული ხარჯები	(1,709)
მოგება მოგების გადასახადით დაბეგრამდე	34,778
მოგების გადასახადის ხარჯი	-
წლის მოგება	34,778
სხვა სრული შემოსავალი	
<i>სხვა სრული შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირებაც არ ხდება (წმინდა)</i>	
საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების გავლენა	-
წმინდა სხვა სრული შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირებაც არ ხდება	-
წლის სხვა სრული შემოსავალი, წმინდა	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი, წმინდა	34,778

როგორც ვიცით, ფულად საშუალებებს (სახსრებს) მიეკუთვნება ნაღდი ფული და ფულის საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი თანხები, როგორც ეროვნულ ისე უცხოურ ვალუტაში. ფულად თანხებს ყველაზე მაღალლიკვიდურ ანუ აბსოლუტურად ლიკვიდურ აქტივებს უწოდებენ, ვინაიდან მათი გამოყენება გაცვლის საშუალებად, ნებისმიერ მომენტში შეიძლება.

ფულადი ნაკადების შესახებ ინფორმაციით, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალება ეძლევათ შეაფასონ საწარმოს მიერ ფულადი სახსრების ეკვივალენტების გამომუშავების შესაძლებლობა, დროულობა და საიმედოობა. ასეთი ინფორმაცია შესაძლებლობას იძლევა³:

- შეფასდეს საწარმოს მოკლე და გრძელვადიანი გადახდისუნარიანობა;
- დადგინდეს, შეძლებს თუ არა საწარმო კრედიტების და დივიდენდების გადახდას;
- განისაზღვროს საწარმოს მოთხოვნები;
- მოხდეს მომავალი პერიოდის ფულადი ნაკადების პროგნოზირება;
- გაირკვეს წმინდა მოგებისა (ან ზარალის) და ფულადი სახსრების წმინდა მატებას (ან კლებას) შორის სხვაობის მიზეზი.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება შეიძლება მომზადდეს პირდაპირი ან არაპირდაპირი მეთოდით. აღრიცხვის სტანდარტებით საბაზისო მეთოდია - პირდაპირი მეთოდი, რადგან მას მეტი მნიშვნელობა აქვს.თუმცა შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდ“ იყენებს ფულადი ნაკადების ანგარიშგების არაპირდაპირ მეთოდს. ბასს 7-ის მიხედვით კი დადგენილია, რომ საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების ნაკადები არაპირდაპირი მეთოდით გამოყენებისას წმინდა მოგება ან ზარალი კორექტირდება არაფულადი ოპერაციების შედეგებით, წარსულში ან მომავალი პერიოდის საოპერაციო შემოსავლებისა და გადახდების გადავადების ან დარიცხვის გათვალისწინებით, რომლებიც დაკავშირებულია საინვესტიციო ან საფინანსო საქმიანობის სახსრების ნაკადებთან.

³ბასს 7, ფულადი ნაკადების ანგარიშგება, 2018 წელი, გვ5

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები გამოხატულია ლარში)

სურათი 1.2.3

	<u>2017</u>
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება მოგების გადასახადის გადახდამდე	34,778
<i>კორექტირებები:</i>	17,771
ცვეთა და ამორტიზაცია	656
სავაჭრო დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი რეზერვების შემობრუნება / (შექმნა) და იურიდიულ სარჩელებთან დაკავშირებული ხარჯები	(2)
ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების გასხვისებით გამოწვეული წმინდა ზარალი	657 (487)
საინვესტიციო ქონების გადაფასებით მიღებული მოგება	695
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი	(5,049)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	13,793
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	1,459
არარეგულარული საგადასახადო ხარჯი	1,391
წილობრივი გადახდის ხარჯი	
<i>საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილების განხორციელების შედეგად</i>	<i>(461)</i>
ცვლილება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	(3,974)
ცვლილება სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაში	
ცვლილება წინასწარ გადახდილ გადასახადებში, მოგების გადასახადის გარდა	(743) 424
ცვლილება გადახდილ ავანსებში	(2,830)
ცვლილება სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში	1,348
ცვლილება გადავადებულ შემოსავალში	4,645
ცვლილება მიღებულ ავანსებში	748
ცვლილება სხვა საგადასახადო ვალდებულებებში	(2,963)
ცვლილება შეზღუდული წვდომის ფულად ნაკადებში	2,498
მიღებული პროცენტი	(15,068)
გადახდილი პროცენტი	(1,791)
გადახდილი მოგების გადასახადი	<u>47,495</u>
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(106,629)
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესყიდვა	(13)
საინვესტიციო ქონების შესყიდვა	5
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი	602
საინვესტიციო ქონების რეალიზაციით მიღებული შემოსავლები სესხების გაცემა	(35,592) 2,053
გაცემული სესხების დაფარვა	<u>(139,574)</u>
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები	287,215
აღებული სესხები	(153,110)
ნასესხები სახსრების დაფარვა	(28,000)
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(466)
კომპანიის მფლობელისთვის გადახდილი დივიდენდი	(4,941)
შენატანები წილობრივი ანაზღაურების პროგრამის ფარგლებში	<u>100,698</u>
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	2,958
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	11,577
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	25,472
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	<u><u>37,049</u></u>

ანგარიშგებაში „საკუთარი კაპიტალის ცვლილების შესახებ“, მოცემულია ინფორმაცია საანგარიშგებო წლის წმინდა მოგების გამოყენებისა და ზარალის შესახებ, სააქციო კაპიტალის, საემისიო კაპიტალის და რეზერვების შესახებ, ყველა ის ცვლილება, რომელიც შეეხება საკუთარი კაპიტალის რომელიმე ელემენტს. აგრეთვე, სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებების შედეგები და არსებითი შეცდომების კორექტირება. საკუთარი კაპიტალი არის აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ვალდებულებების დაფარვის შემდეგ. ამავე დროს, საკუთარი კაპიტალი იგივე წმინდა აქტივებია.

როცა ვსაუბრობთ „საკუთარი კაპიტალის ცვლილების შესახებ“ ანგარიშგებაზე, უნდა ითქვას, თუ რა ძირითად საშუალებებს ფლობს შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“. ინფრასტრუქტურული აქტივები მოიცავს სისტემების ქსელს, რომელიც შედგება ნედლი წყლის სადენებისგან, მთავარი და საკანალიზაციო მილებისგან, აკუმულირებული და ამოტუმბული ნედლი წყლის შესანახი რეზერვუარებისგან და სალექი მილსადენებისგან. საინვესტიციო დანახარჯი ინფრასტრუქტურულ აქტივებზე, რომელიც დაკავშირებულია ქსელის გამტარუნარიანობის ზრდასთან ან გაუმჯობესებასთან და აქტივის შეცვლასთან ქსელის საოპერაციო შესაძლებლობების შენარჩუნების მიზნით, განიხილება დამატებად და თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო სარემონტო და ტექნიკური მომსახურების ხარჯი, რომელიც არ აუმჯობესებს საბაზისო აქტივებს, აღირიცხება როგორც საოპერაციო ხარჯი.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები გამოხატულია ლარში)

სურათი 1.2.4

	საწესდებო კაპიტალი	დანატებით შეტანილი კაპიტალი	(დაგრო- ვილი დანაკლისი)	გადაფასების რეზერვი	სხვა რეზერვები	სულ
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	208,469	-	(142,458)	145,676	-	211,687
წლის მოგება	-	-	39,375	-	-	39,375
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	26,150	-	26,150
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	39,375	26,150	-	65,525
რეალიზებული გადაფასების რეზერვი	-	-	602	(602)	-	-
საწესდებო კაპიტალის შემცირება (მე-13 შენიშვნა)	(69,910)	-	69,910	-	-	-
გამოცხადებული დივიდენდები (მე-13 შენიშვნა)	-	-	(14,939)	-	-	(14,939)
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	138,559	-	(47,510)	171,224	-	262,273
ფასს 15-ის ვადაზე ადრე მიღების ეფექტი (მე-4 შენიშვნა)	-	-	(16,607)	-	-	(16,607)
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	138,559	-	(64,117)	171,224	-	245,666
წლის მოგება	-	-	34,778	-	-	34,778
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	34,778	-	-	34,778
წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდები (25-ე შენიშვნა)	-	2,783	-	-	-	2,783
შენატანები წილობრივი ანაზღაურების პროგრამის ფარგლებში (25-ე შენიშვნა)	-	-	-	-	(5,238)	(5,238)
საწესდებო კაპიტალის შემცირება (მე-13 შენიშვნა)	(28,000)	-	-	-	-	(28,000)
გამოცხადებული დივიდენდები (მე-13 შენიშვნა)	-	-	(466)	-	-	(466)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	110,559	2,783	(29,805)	171,224	(5,238)	249,523

ეს ინფორმაცია, ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში მოცემულ ინფორმაციასთან ერთად, მომხმარებელს საშუალებას აძლევს, წინასწარ განჭვრიტოს საწარმოს ფულადი ნაკადები, კერძოდ მათი რეალურობა და მოძრაობის დრო.

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას პერიოდის დასასრულისთვის;
- პერიოდის მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებას;

- პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას;
- პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგებას;
- განმარტებით შენიშვნებს, სადაც მოკლედ განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია;
- წინა პერიოდის შესადარის ინფორმაციას;
- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას წინა პერიოდის დაწყების თარიღის მდგომარეობით, როდესაც ის სააღრიცხვო პოლიტიკას იყენებს რეტროსპექტულად.

საყურადღებოა, რომ საწარმოს უფლება აქვს, წარადგინოს ერთი, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება, სადაც მოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავალი წარდგენილი იქნება ორ განყოფილებაში. თავის მხრივ, ეს განყოფილებები ერთად უნდა იყოს წარმოდგენილი: ჯერ მოგებისა და ზარალის განყოფილება და ზუსტად მის შემდეგ - სხვა სრული შემოსავლის განყოფილება. საწარმოს უფლება აქვს, მოგება ან ზარალი წარმოადგინოს განცალკევებულ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში. თუ ასეა, მოგებისა და ზარალის ანგარიშგება უშუალოდ წინ უნდა უსწრებდეს ანგარიშგებას, სადაც წარმოდგენილია სრული შემოსავალი და უნდა იწყებოდეს მოგებით, ან ზარალთ.

საწარმომ ყველა ფინანსური ანგარიშგება ერთნაირი პასუხსმგებლობით უნდა წარადგინოს ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტში.

მრავალი საწარმო, ფინანსური ანგარიშგების გარდა, წარადგენს ხელმძღვანელობის მიერ მომზადებულ ფინანსურ მიმოხილვას, რომელშიც აღწერილი და ახსნილია საწარმოს საქმიანობის ფინანსური შედეგებისა და ფინანსური მდგომარეობის ძირითადი საკითხები, აგრეთვე ძირითადი განუსაზღვრელობები, რასაც ადგილი ჰქონდა საწარმოს საქმიანობის პროცესში. ამგვარ მიმოხილვაში შეიძლება აისახოს:

- ფინანსური შედეგების განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორები და პირობები, მათ შორის საწარმოს საქმიანობის გარემო პირობებში მომხდარი ცვლილებები, საწარმოს რეაგირება ამ ცვლილებებზე და მათი შედეგები, ასევე ინვესტიციების შენარჩუნებისა და ეფექტიანობის ამაღლების პოლიტიკა, დივიდენდების პოლიტიკის ჩათვლით;

- საწარმოს დაფინანსების წყაროები და ვალდებულებების საკუთარ კაპიტალთან ფარდობის მისთვის სასურველი (საწარმოს მიერ დასახული) კოეფიციენტი;
- საწარმოს რესურსები, რომლებიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აისახება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

საწარმომ ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა ასახოს გასული პერიოდის შესადარისი ინფორმაცია, მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ყველა რიცხობრივი მონაცემის შესაბამისად. შესადარისი ინფორმაცია უნდა მოიცავდეს თხრობითი და აღწერილობითი ხასიათის ინფორმაციასაც, თუ ამის გაკეთება აუცილებელია მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების უკეთ გასაგებად.

საწარმომ ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი (მათ შორის შესადარისი ინფორმაცია) უნდა წარადგინოს სულ მცირე წელიწადში ერთხელ მაინც. როდესაც საწარმო ცვლის საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღს და წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს ერთ წელიწადზე ნაკლებ ან მეტ დროში, მან ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში უნდა მიუთითოს ფინანსური ანგარიშგებით მოცული პერიოდი და გააკეთოს დამატებითი განმარტებები.

უკვე ითქვა, რომ საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ფინანსური ანგარიშგების მომზადების და მომხმარებელთათვის წარდგენის საკითხი საერთაშორისო სტანდარტებით რეგულირდება. როგორც პრაქტიკაში ვხვდებით, ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საფუძვლად უდევს ორი დაშვება: დარიცხვის მეთოდი და ფუნქციონირებადი საწარმო. საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების დაცვით ფინანსური ანგარიშგების მომზადების, წარდგენის მნიშვნელობა განსაკუთრებით აქტუალურია.

ზემოთ განხილულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ფინანსური ანგარიშგება საწარმოს მდგომარეობის აღწერის ძირითადი საშუალებაა. კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანალიზი დაკავშირებულია სხვადასხვა მაჩვენებლებთან და გულისხმობს როგორც მაჩვენებლების გამოთვლას, ასევე მათი მნიშვნელობების შედარებას

სხვადასხვა პერიოდების მიხედვით. საწარმოს ფინანსური მდგრადობის განსაზღვრისთვის არ არის საკმარისი ზოგადი შეფასებები, რადგანაც საჭიროა დეტალური ანალიზი და როგორც აღვნიშნეთ, მიზანშეწონილია ფინანსური კოეფიციენტების გამოყენება. ამ უკანასკნელის საფუძველზე კი სათანადო ინტერპრეტაციების გაკეთება.

1.3 საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების ფინანსური კოეფიციენტების სისტემა

ფინანსური მდგრადობის ანალიზისთვის სპეციალური ეკონომიკური ლიტერატურით და ფინანსური ანალიზის საერთაშორისო პრაქტიკით ფინანსური კოეფიციენტები ასეთი სახით დავაჯგუფოთ:

- საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი;
- ნასესხები სახსრების კონცენტრაციის კოეფიციენტი;
- სახსრების მანევრირების კოეფიციენტი;
- სახსრების მობილურობის კოეფიციენტი;
- საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი;
- საკუთარი და ნასესხები სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი;
- ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი;
- ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი;
- გრძელვადიან დაბანდებათა სტრუქტურის კოეფიციენტი;
- ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი.

ქვემოთ, ცხრილში, განხილულია ფინანსური მდგრადობის ტიპები:

ცხრილი 1.3.1

N	ფინანსური მდგრადობა	მახასიათებელი
1	აბსოლუტურად მდგრადი	მახასიათებელი მარაგები < საკუთარ საბრუნავ სახსრებზე
2	ნორმალურად მდგრადი	საკუთარი საბრუნავი სახსრები < მატერიალური მარაგები < მარაგების ფორმირების „ნორმალური წყაროები“
3	არამდგრადი	მატერიალური მარაგები > მარაგების დაფინანსების „ნორმალური წყაროები“
4	კრიზისული (კრიტიკული)	მატერიალური მარაგები > მარაგების დაფინანსების „ნორმალური წყაროები“ + გადაუხდელი ვალდებულებები + ვადაგადაცილებული დ/დ

აბსოლუტურად მდგრადი ფინანსური მდგომარეობის დროს საკუთარი საბრუნავი სახსრებით მთლიანად არის უზრუნველყოფილი მარაგები და დანახარჯები. მახასიათებელი მარაგები < საკუთარ საბრუნავ სახსრებზე, აღნიშნული თანაფარდობა იშვიათად შეიძლება არსებობდეს და არც შეიძლება იდეალურ მაჩვენებლად ჩაითვალოს, რადგანაც იმაზე მიუთითებს, რომ საწარმოს მენეჯმენტს არ აქვს უნარი, არ სურს ან არ შეუძლია გამოიყენოს გარე სახსრები ძირითადი საქმიანობისთვის. სპეციალისტთა უმრავლესობის აზრით, ნორმალურად ფუნქციონირებად საწარმოში საკუთარი საბრუნავ სახსრების წილი მატერიალურ ფასეულობებში მინიმუმ 50% უნდა იყოს.

ნორმალურად მდგრადი ფინანსური მდგომარეობის დროს მარაგებისა და დანახარჯების უზრუნველყოფა ხდება საკუთარი საბრუნავი სახსრებითა და ნასესხები

წყაროებით.ამ შემთხვევაში საკუთარ და მოზიდულ სახსრებს შორის ოპტიმალური თანაფარდობა არსებობს. მარაგების ფორმირების ნორმალური წყაროების ქვეშ იგულისხმება საკუთარი საბრუნავი სახსრების, მოკლევადიანი სესხების, კრედიტორული დავალიანებებისა და მიღებული ავანსების ერთობლიობა.

არამდგრადი ფინანსური მდგომარეობის დროს მარაგებისა და დანახარჯების დაფარვა ხდება არა მხოლოდ დაფარვის „ნორმალური“ წყაროების, არამედ საკუთარი საბრუნავი საშუალებების, მოკლევადიანი და გრძელვადიანი ნასესხები წყაროების, ე.ი. ყველა წყაროს ხარჯზე. ამ დროს საწარმო იძულებულია ყველა სახის სესხი აიღოს მარაგების შესაძენად.

კრიზისული (კრიტიკული) ფინანსური მდგომარეობის დროს საწარმოს მარაგები არ არის უზრუნველყოფილი მათი ფორმირების წყაროებით. საწარმო გაკოტრების ზღვარზე იმყოფება. ამ დროს საწარმოს გააჩნია ვადაზე გადაუხდელი კრედიტორული დავალიანებები და სესხები, ასევე ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებები. კრიზისული ფინანსური მდგომარეობის დროს საწარმო მთლიანად დამოკიდებულია დაფინანსების მოზიდულ წყაროებზე. ასეთი სიტუაციის ქრონიკული განმეორების შემთხვევაში საწარმო გაკოტრებულად უნდა გამოცხადდეს.

საწარმოს ფინანსური მდგრადობის გაუმჯობესება მიიღწევა:

1. მიმდინარე აქტივებში დაბანდებული კაპიტალის ბრუნვადობის დაჩქარებით;
2. მარაგებისა და დანახარჯების ოპტიმალური დონის უზრუნველყოფით;
3. საკუთარი საბრუნავი სახსრების შევსებით შიდა და გარე წყაროების ხარჯზე.

რა თქმა უნდა, საწარმოს ფინანსური მდგრადობის ანალიზი საშუალებას იძლევა დავადგინოთ რამდენად დამოუკიდებელია საწარმო ფინანსური თვალსაზრისით და მდგრადია თუ არა მისი ფინანსური მდგომარეობა. სწორედ ამიტომ, საჭიროა გაკეთდეს პროგნოზი მომავლისთვის და შემუშავდეს ღონისძიებები მომავალში საწარმოს ფინანსური მდგრადობის გაუმჯობესებისთვის.

საწარმოს ფინანსური მდგრადობის დეტალური ანალიზი უნდა ჩატარდეს ფინანსური კოეფიციენტების გამოყენებით, რომლებიც აბსოლუტური მაჩვენებლებისგან განსხვავებით ინფლაციურ პროცესების იგნორირებას ახდენენ და სათანადო დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევენ. შესაძლებელია, რომ გამოვყოთ შემდეგი კოეფიციენტები:

- ვალდებულებების დაფარვის კოეფიციენტი;
- გრძელვადიან დაბანდებათა სტრუქტურის კოეფიციენტი;

საკუთარი და მოზიდული კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი

ზოგადად, კაპიტალი არის სიმდიდრე, რომელიც გამოიყენება მისი საკუთარი გაზრდისთვის ანუ თვითგაზრდისთვის. საკუთარი კაპიტალის სტაბილური მაჩვენებელი უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსურ წონასწორობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალის ღირებულება წარმოადგენს ფირმის საბაზრო ფასის დონის საზომს.

ეს კოეფიციენტი ახასიათებს საწარმოს ფინანსურ სტრუქტურას და მდგრადობას. რაც უფრო მეტია საკუთარი სახსრების წილი კაპიტალში, მით უფრო დაბალია კომპანიის ფინანსური რისკები. ამ მაჩვენებლის ზრდა დადებით მოვლენად ითვლება. კოეფიციენტის მინიმალური ზღვარი ერთის ტოლია, სხვა შემთხვევაში საწარმოს ფინანსური მდგომარეობა არასაიმედო ხდება.

აუცილებელია განხილულ იქნეს ის ძირითადი კოეფიციენტები, რომელთა საფუძველზე დაყრდნობით, შემდეგ ქვეთავაში გამოკვლეულია შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდის“ ფინანსური მდგომარეობის ანალიზი.

საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი ახასიათებს საწარმოს მესაკუთრეთა წილს მის საქმიანობაში ავანსირებული საშუალებების საერთო ოდენობაში. მისი ოპტიმალური მნიშვნელობა 0,5-0,8 ფარგლებში მერყეობს. რაც უფრო მაღალია ამ კოეფიციენტის მნიშვნელობა ფინანსურად, მით უფრო მდგრადია საწარმო. საერთოდ, მიღებულია, რომ საკუთარი კაპიტალის წილი აღემატებოდეს მოზიდული კაპიტალის წილს, რადგან ამ შემთხვევაში უფრო დიდია იმის ალბათობა, რომ ვალები საკუთარი

სახსრებით დაიფარება. აღნიშნული მაჩვენებელი საწარმოს გრძელვადიანი გადახდისუნარიანობის მაჩვენებელია.

$$\begin{aligned} & \text{საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი} = \\ & = \text{საკუთარი კაპიტალი/ბალანსის აქტივების ჯამი (1.3.1)} \end{aligned}$$

ნასესხები სახსრების კონცენტრაციის კოეფიციენტი მიუთითებს ქონების რა ნაწილია შეძენილი ნასესხები წყაროების ხარჯზე და გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$\begin{aligned} & \text{ნასესხები სახსრების კონცენტრაციის კოეფიციენტი} = \\ & = \text{ნასესხები წყაროები/ბალანსის აქტივების ჯამი (1.3.2)} \end{aligned}$$

სასურველია მისი მნიშვნელობა 0,5-ზე ნაკლები იყოს.

სახსრების მანევრირების კოეფიციენტი თავისი ეკონომიკური შინაარსით საწარმოს აქტივების ლიკვიდურ სახსრებად გარდაქმნის რეალური შესაძლებლობის მახასიათებელია და იგი გაიანგარიშება, როორც მიმდინარე აქტივებსა და მოკლევადიან ვალდებულებებს შორის სხვაობის თანაფარდობა საბრუნავი აქტივების ჯამთან. მისი ოპტიმალური მნიშვნელობა 0,2-ის ტოლი ან მეტი უნდა იყოს.

$$\begin{aligned} & \text{სახსრების მანევრირების კოეფიციენტი} = (\text{მიმდინარე აქტივები} - \text{მოკლევადიანი} \\ & \text{ვალდებულებები})/\text{საბრუნავი აქტივების ჯამი (1.3.3)} \end{aligned}$$

სახსრების მობილურობის კოეფიციენტი აქტივების და ლიკვიდურ სახსრებად გარდაქმნის პოტენციური შესაძლებლობის მახასიათებელია და საბრუნავი და ბრუნვის გარეშე აქტივების თანაფარდობით გაიანგარიშება. თუ აღნიშნული მაჩვენებლის მნიშვნელობა 0,5-ის ტოლია ან მეტია, მაშინ ბალანსის აქტიური ნაწილის სტრუქტურა დარღვეული არ არის და აქედან გამომდინარე, საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას გაუარესების საშიშროება არ ემუქრება.

$$\begin{aligned} & \text{სახსრების მობილურობის კოეფიციენტი} = \\ & = \text{საბრუნავი აქტივები/გრძელვადიანი აქტივები (1.3.4)} \end{aligned}$$

საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი ახასიათებს მიმდინარე საქმიანობის დაფინანსებისთვის გამოყენებული საკუთარი საბრუნავი კაპიტალის წილს, ანუ საკუთარი კაპიტალის იმ წილს, რომელიც დაბანდებულია საბრუნავ საშუალებებში. თავად ამ კოეფიციენტის ნორმალური სიდიდე დარგის თავისებურებებზეა დამოკიდებული და განისაზღვრება საკუთარი საბრუნავი სახსრების შეფარდებით საკუთარ კაპიტალთან. მისი საშუალო ნორმატიული მაჩვენებელი ნაკლებია ან ტოლია 0,5-ის.

$$\begin{aligned} & \text{საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი} = \\ & = \text{საკუთარი საბრუნავი სახსრები/საკუთარი კაპიტალი (1.3.5)} \end{aligned}$$

საკუთარი და ნასესხები სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი ზოგადად ახასიათებს საწარმოს ფინანსურ სტრუქტურას და მდგრადობას. რაც უფრო მეტია საკუთარი სახსრების წილი კაპიტალში, მით უფრო დაბალია კომპანიის ფინანსური რისკები. ამ მაჩვენებლის ზრდა დადებით მოვლენად ითვლება. კოეფიციენტის მინიმალური ზღვარი ერთის ტოლია, წინააღმდეგ შემთხვევაში საწარმოს ფინანსური მდგომარეობა არასაიმედო ხდება. მისი გაანგარიშება ხდება ფორმულით:

$$\begin{aligned} & \text{საკუთარი და ნასესხები სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი} = \\ & = \text{საკუთარი კაპიტალი/ნასესხები კაპიტალი (1.3.6)} \end{aligned}$$

ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი გაიანგარიშება საკუთარი კაპიტალის შეფარდებით დაფინანსების წყაროების მთლიან ჯამთან და გვიჩვენებს საკუთარი სახსრების ხვედრით წილს დაფინანსების წყაროების საერთო ოდენობაში. ამ კოეფიციენტის მნიშვნელობა საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტის ტოლია, ვინაიდან გაანგარიშებაში ერთი და იგივე სიდიდეები მონაწილეობს.

$$\begin{aligned} & \text{ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი} = \text{საკუთარი კაპიტალი/დაფინანსების} \\ & \text{წყაროების მთლიანი ჯამი (1.3.7)} \end{aligned}$$

ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტის შებრუნებული სიდიდეა და გვიჩვენებს რამდენჯერ აღემატება აქტივები საკუთარ კაპიტალს. მაჩვენებლის ზრდა ნასესხები სახსრების ზრდაზე მიუთითებს, რაც საწარმოს ფინანსურ სტაბილურობას საფრთხის წინაშე აყენებს. თუ ამ კოეფიციენტის მნიშვნელობა ერთამდე დაეცა, ეს ნიშნავს, რომ ქონებას სრულად აფინანსებენ მესაკუთრეები. გაიანგარიშება:

$$\begin{aligned} & \text{ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი} = \\ & = \text{მთლიანი აქტივები/საკუთარი კაპიტალი} \quad (1.3.8) \end{aligned}$$

გრძელვადიან დაბანდებათა სტრუქტურის კოეფიციენტი მიუთითებს, გრძელვადიანი აქტივების რა ნაწილია დაფინანსებული გარე ინვესტორების მიერ და რაც უფრო მაღალია ეს მაჩვენებელი, მით უფრო დამოკიდებულია საწარმო გარე ინვესტორზე.

$$\begin{aligned} & \text{გრძელვადიან დაბანდებათა სტრუქტურის კოეფიციენტი} = \\ & = \text{გრძელვადიანი ვალდებულებები/გრძელვადიანი აქტივები} \quad (1.3.9) \end{aligned}$$

საწარმოს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას ახასიათებს ნასესხები სახსრების გრძელვადიანი მოზიდვის კოეფიციენტი, რომელიც სპეციალურ ეკონომიკურ ლიტერატურაში ფინანსური ლევრეჯის სახელითაა ცნობილი და გამოითვლება:

$$\begin{aligned} & \text{ფინანსური ლევრეჯი} = \text{გრძელვადიანი ვალდებულებები}/(\text{საკუთარი} \\ & \text{კაპიტალი} + \text{გრძელვადიანი ვალდებულებები}) \quad (1.3.10) \end{aligned}$$

ფინანსური ლევრეჯის კოეფიციენტი განსაზღვრავს გრძელვადიანი ვალდებულებების წილს გამოყენებული კაპიტალის თანხაში და მისი ზრდა დინამიკაში უარყოფითი მაჩვენებელია. გამოიყენება ფინანსური ლევრეჯის რამდენიმე სახეცვლილი ფორმა:

$$\begin{aligned} & \text{ფინანსური ლევრეჯი} = (\text{სესხები} + \text{პრივილეგიური კაპიტალი})/(\text{მთლიანი აქტივები} - \\ & \text{მოკლევადიანი ვალდებულებები}) \quad (1.3.11) \end{aligned}$$

ფინანსური ლევერეჯის მაჩვენებლის მინიმალური ზღვარი ერთის ტოლია. რაც უფრო მეტია ნასესხები წყაროების ხვედრითი წილი, მით მეტი იქნება ამ სესხებზე გადასახდელი პროცენტების ოდენობა. შესაბამისად, უარესდება საწარმოს საქმიანობის ფინანსური შედეგი.

ფინანსური ლევერეჯის დონის შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ მოგებისა და ფულადი ნაკადის ზრდის ტემპები. ზომიერად მზარდი მოგებისა და ფულადი ნაკადების მქონე კომპანიამ უფრო მშვიდად უნდა აილოს დიდი ვალი, ვიდრე არამყარი და ქაოსური ფულადი სახსრების მქონე კომპანიამ, რის გამოც დეფოლტის შედეგი კომპანიისთვის ძალიან სერიოზულია.

რასაკვირველია, მხოლოდ ზემოთ ნახსენები კოეფიციენტები არ არის საკმარისი და უამრავი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, რომელთა დახმარებითაც მაქსიმალურად რაციონალურად ფასდება კომპანიის ფინანსური მდგომარეობა. განვიხილოთ რამდენიმე ასევე საინტერესო მაჩვენებელი:

- დაფარვის ზოგადი კოეფიციენტი = (მატერიალური და ფულადი საბრუნავი სახსრები)/(მოკლევადიანი სახსრები პლუს ანგარიშსწორება და სხვა პასივები)=(მარაგები და ხარჯები - მომავალი პერიოდის ხარჯები+ფულადი სახსრები, ანგარიშსწორება და სხვა აქტივები-ხარჯები, რომლებიც გადაფარული არ არის ფონდების სახსრებით და მიზნობრივი ფინანსებით)/(მოკლევადიანი კრედიტები-სესხები, რომლებიც დაფარული არ არის ვადაზე+ანგარიშსწორებები და სხვა პასივები). (1.3.12)

იგი განზოგადებული მაჩვენებელია და გვიჩვენებს კრედიტების ანგარიშსწორების მიხედვით მიმდინარე ვალდებულებების რა ნაწილი შეიძლება დაიფაროს ყველა საბრუნავი სახსრების მობილიზებით. საჭირო მნიშვნელობა 1-ზე მეტია, ოპტიმალური მნიშვნელობა 2,0-2,5.

- აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი = (საბრუნავი სახსრები ფულაბში)/(მოკლევადიანი ვალდებულებები)=(ანგარიშსწორების ანგარიში + სხვა

ანგარიშები ბანკებში)/(მოკლევადიანი კრედიტები+სესხები, რომლებიც დაფარული არ არის ვადაზე + ანგარიშსწორება და სხვა პასივები) (1.3.13)

გვიჩვენებს მოკლევადიანი ვალდებულებების რა ნაწილი შეიძლება დაუყოვნებლივ იქნეს დაფარული ანგარიშსწორების ანგარიშზე და ბანკებში სხვა ანგარიშზე ფულადი სახსრების ხარჯზე. თეორიულად საკმარისი მნიშვნელობა 0,20-0,25.

სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი=(ფულადი თანხები + მოკლევადიანი მოთხოვნები)/მიმდინარე ვალდებულებები (1.3.14)

საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი = მიმდინარე აქტივები/მიმდინარე ვალდებულებები (1.3.15)

ლიკვიდურობის კოეფიციენტებთან ერთად შეისწავლება საკუთარი საბრუნავი სახსრების (სსს) მანევრირებისა და ფულადი უსაფრთხოების მაჩვენებლები:

სსს მანევრირების კოეფიციენტი =
= ფულადი საშუალებები/საკუთარი საბრუნავი სახსრები (1.3.16)

იგი გვიჩვენებს, საკუთარ საბრუნავ სახსრებში რა წილი უჭირავს ყველაზე ლიკვიდურ საშუალებებს. იგი ნულიდან ერთამდე მერყეობს. ამ მაჩვენებლის ზრდა დადებით მოვლენას წარმოადგენს. მისი სიდიდე საწარმოში თავისუფალი ფულადი თანხების საჭიროებაზეა დამოკიდებული.

ფულადი უსაფრთხოების (თავდაცვის) ინტერვალი = (ფული+ფასიანი ქვანაწარები+დებიტორები)/საშუალო დღიური ხარჯები (1.3.17)

- საერთო გადაუხდელობის მაჩვენებელი = (რეალური აქტივების ღირებულება) / (ნასესხები სახსრების საერთო თანხა) = (ძირითადი სახსრები + საწარმოო მარაგები)/(კრედიტები და სხვა ნასესხები სახსრები). (1.3.18)

გვიჩვენებს რეალური აქტივების რა ნაწილი ფინანსდება ნასესხები სახსრების ხარჯზე.

- წმინდა ამონაგების კოეფიციენტი = (წმინდა მოგება გადასახადების შემდეგ + ამორტიზაციული ანარიცხები)/(ამონაგები რეალიზაციიდან დამატებით ღირებულებაზე გადასახადის გარეშე). (1.3.19)

ახასიათებს პროდუქციის რეალიზაციიდან საეთო ამონაგებში ნარჩენი ფულის ხვედრით სიდიდეს, ე.ი. გვიჩვენებს წმინდა ამონაგები რამდენი მოდის რეალიზაციიდან ამონაგების ყოველ ერთ ლარზე.

- საკუთარი ფინანსური სახსრების დაცულობა საწესდებო ფონდში: საწესდებო ფონდში საანგარიშო პერიოდის დასასრულს, დაკორექტირებული აქციონერებისა და მონაწილეების შენატანების სიდიდით, ნაკლები არ უნდა იყოს საანგარიშო პერიოდის დასაწყისისთვის არსებულ საწესდებო ფონდზე.

გამოიყენება ძირითადად აქციონერული საზოგადოებისთვის.

- ფირმის „ფინანსური სიმყარის მარაგი“ = (რეალიზაციიდან ამონაგები)-(რენტაბელობის ზღვარი ან რეალიზაციიდან ამონაგები-რენტაბელობის ზღვარი)/(რეალიზაციიდან ამონაგები)*100% (1.3.20)

ახასიათებს ფირმის „ფინანსური სამყაროს მარაგს“ კონიუქტურის გაუარესების და სხვა სიმნელებების შემთხვევაში. გვიჩვენებს, თუ საწარმოს რამდენად შეუძლია თავისთავს ნება მისცეს, შეამციროს რეალიზაციიდან ამონაგები თავისი ფინანსური მდგომარეობის არსებითი ზიანის გარეშე.

- თვითდაფინანსების უნარის და დამატებული ღირებულების თანაფარდობა = (თვითდაფინანსების უნარი)/(დამატებული ღირებულება)=წმინდა მოგება გადასახადების შემდეგ+ქონების გაყიდვების ჯამი;წარმოებული პროდუქციის ღირებულება, ნედლეულის მასალების ღირებულება (1.3.21)

გვიჩვენებს თვითდაფინანსების ყველა წყაროს მონაწილეობასყოველი ერთეული ლარის დამატებული ღირებულების წარმოებაში.

საწარმოს ფინანსური მდგრადობის გაუმჯობესებისთვის მიზანშეწონილია:

- მიმდინარე აქტივებში დაბანდებული კაპიტალის ბრუნვადობის დაჩქარება;
- მარაგებისა და დანახარჯების ოპტიმალური დონის უზრუნველყოფა;
- შიდა და გარე წყაროებით საკუთარი საბრუნავი სახსრების შევსება;
- დებიტორული დავალიანებების ანალიზის საფუძველზე დაფარვის დაბალი ალბათობის მქონე დავალიანებების გამოვლენა, ვადაგასული დებიტორული დავალიანებების ჩამოწერა და დებიტორებისგან ვალის ამოღების ღონისძიებათა შემუშავება;
- კრედიტორული დავალიანებების ანალიზი ლიკვიდურობის მიხედვით, ვადაგადაცილებული დავალიანებების გამოვლენა და მათი ჩამოწერის ღონისძიებათა გატარება. კრედიტორული დავალიანებების დაფარვის გრაფიკის შედგენა, შესაძლო გადავადების და დისკონტების გამოყენებით;
- მკაცრი ფინანსური დისციპლინის დაცვა საწარმოს პერსონალის მართვასთან დაკავშირებით.

თავი 2. შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ფინანსური მდგრადობის ანალიზი და შეფასება

2.1 ინფორმაცია კომპანიის შესახებ და ფინანსური მდგომარეობის ზოგადი მიმოხილვა

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის დაწყებამდე მნიშვნელოვანია, კომპანიის შესახებ ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვა. შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ არის საწარმო, რომელიც წყალმომარაგების და წყალარინების მომსახურებას უწევს ქ. თბილისის მასშტაბით არსებულ მოსახლეობას, სახელმწიფო ორგანოზაციებსა და სამრეწველო, კომერციულ ობიექტებს. იგი ასევე ახორციელებს მის საკუთრებაში არსებული ჰიდროელექტროსადგურებით ელექტროენერჯის წარმოებას.

კომპანია 1997 წლის 25 ივნისს თბილისის მთაწმინდის რაიონული სასამართლოს მიერ თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 23 მაისის დადგენილების საფუძველზე დარეგისტრირდა, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ საქართველოში პირველი არასაფინანსო კერძო კომპანიაა, რომელსაც Fitch Ratings-მა ჯერ კიდევ 2015 წელს პირველივე ცდაზე ქვეყნის სუვერენული გრძელვადიანი რეიტინგი მიანიჭა. აღნიშნული შეფასება შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ მაღალ პასუხისმგებლობას აკისრებს, როგორც პირველ კომუნალურ კომპანიას ქვეყანაში, რომელმაც ასეთ წარმატებას მიაღწია.

აღსანიშნავია, რომ კომპანია შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ საინვესტიციო პოლიტიკის ძირითად მიმართულებად კვლავ წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის განახლება და განვითარება რჩება. კომპანია წარმატებით აგრძელებს საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობას, რომელთაგან მიღებული გრძელვადიანი

დაფინანსებით დედაქალაქისთვის არაერთ მნიშვნელოვან და მასშტაბურ პროექტს ახორციელებს.

Fitch Rating მსოფლიოში წაყვანი სარეიტინგო სააგენტოა ფინანსურ-საინვესტიციო მომსახურების სფეროში, შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ სანდოობა კი ფინანსური ინსტიტუტებისთვის საგრძნობლად მაღალია.

2019 წლის მონაცემებითაც შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ Fitch Ratings-ის გადაწყვეტილებით რეიტინგს კვლავ ინარჩუნებს.

საოპერაციო გარემო

კომპანიის საქმიანობა კონცენტრირებულია საქართველოს დედაქალაქ თბილისში, როგორც განვითარებად ბაზარს, საქართველოს არა აქვს იმდენად კარგად განვითარებული ბიზნესის ინფრასტრუქტურა და ნორმატიული ბაზა, როგორც უფრო განვითარებულ საბაზრო ეკონომიკებს ახასიათებთ.

საქართველოში საქმიანობა დაკავშირებულია ისეთ რისკებთან, რომლებიც, ჩვეულებრივ, არ არსებობს განვითარებულ ბაზრებზე (მათ შორის ის, რომ ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ასევე მხედველობაში მისაღებია განუვითარები საკრედიტო და საფონდო ბაზრები), თუმცა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ზოგადად საინვესტიციო კლიმატზე. მოსალოდნელია ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისკენ მიმართული ტენდენციის გაგრძელება. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეკონომიკაზე გავლენას ახდენს განვითარებულ ქვეყნებში საბაზრო კრიზისი და ეკონომიკური განვითარების შეფერხება.

სამართლიანი ღირებულებით შეფასება

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებს, მაგ: წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებსა და არაფინანსურ აქტივებს: საინვესტიციო ქონებას აფასებს სამართლიანი ღირებულებით ყოველი საბალანსო ანგარიშის შედგენის თარიღით.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის.

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომელიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, რომლებიც თავისმხრივ მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად - არასაბაზრო მონაცემებს.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება წარმოდგენილია მიწით და შენობა-ნაგებობებით, რომლებიც არსებითად არ არის დაკავებული კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში გამოსაყენებლად ან გასაყიდად. მათი ფლობის მთავარი მიზანია საიჯარო შემოსავლის მიღება, კაპიტალის ღირებულების გაზრდა ან სამომავლო ხალახლა განვითარება, ვიდრე გაირკვევა მათი ექსპლუატაციის ზუსტი დანიშნულება.

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდრის“ მიერ

2016-2017 წლებში განხორციელებული ინვესტიციები:

ცხრილი 2.1.1

(თანხები გამოხატულია ათას ლარებში)

დასახელება	2016 წლის ინვესტიცია	2017 წლის ინვესტიცია
სასმელი წყლის მიწოდება	24,968,842	53,617,936
წყალარინება	2,211,941	1,400,860
წყალმომარაგების საერთო	1,125,090	7,011,958
მთლიანი საერთო აქტივები	1,860,414	439,737
სულ	30,166,287	62,470,492

ფინანსური ვალდებულებები

კომპანიის ნასესხები სახსრები შედგება ქართული და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებებიდან, მიღებული სავალო ფასიანი ქაღალდებისგან და სესხებისგან.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან ნასესხები სახსრები მოიცავს ლარში გამოხატულ სესხებსNederlandse Financierings-Maatschappij Voor Ontwikkelingsanden N.V.-ისგან („ჰოლანდიის განვითარების ბანკი“) და Deutsche Investitiouns – Und Entwicklungsgesellschaft MBH-ისგან (“DEG”) 11.83%-იანი და 12,25%-იანი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთებით (81 677 000ლარი და 14 410 000ლარი, შესაბამისად), ევროში გამოხატული სესხებს იმავე კრედიტორებისგან 3,39%-იანი და 4,38%-იანი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთებით (62 179 000 ლარი და 15 551 000 ლარი, შესაბამისად); ევროში გამოხატული სესხებს ევროპის საინვესტიციო ბანკისგან (“EIB”) ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით 1,9% + EURIBOR („ევრიბორი“) (39 201 000 ლარი).

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ფინანსური ინსტიტუტებისგან ნასესხები სახსრები მოიცავს ევროში გამოხატულ სესხს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 0,75%-იანი ფიქსირებული განაკვეთით. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კი, ნასესხები სახსრები მოიცავდა ლარში გამოხატულ სესხებს საქართველოს ფინანსური ინსტიტუტებისგან 19%. 2017 წელს ადგილობრივი კრედიტორებისგან ნასესხები სახსრების რეფინანსირება მოხდა საერთაშორისო ინსტიტუტებისგან აღებული სესხებით.

სესხების დაფარვის საშუალო ვადა 4,445 დღეა (2016წ. 1,035 დღე)

2017 წელს კომპანიამ გამოუშვა 40 მილიონი ლარის 6-თვიანი ადგილობრივი ობლიგაციები. ეს ობლიგაციები გამოშვებულია ნომინალური ღირებულებით, რისი გადახდაც უნდა მოხდეს ვადის ამოწურვისას.

2016 წელს კომპანიამ გამოუშვა 30 მილიონი ლარის 5-წლიანი ადგილობრივი ობლიგაციები, საიდანაც 6 მილიონი ლარი გამოყენებულ იქნა არსებული ვალის რეფინანსებისთვის.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიისთვის ხელმისაწვდომია 27 573 000 ლარის აუთვისებელი ნასესხები სახსრები.

2017 წელს კომპანიის ნასესხებმა სახსრებმა სულ შეადგინა 16 059 000 ლარი (2016წ: 11 071 000 ლარი) აქედან 2 601 000 ლარი კაპიტალიზდა ძირითად საშუალებებში.

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდის“

ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში

ცხრილი 2.1.2

(თანხები გამოხატულია ათას ლარებში)

დასახელება	ნასესხები სახსრები	გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები
საბალანსო ღირებულება 2015 წლის 31 დეკემბრისთვის	63,572	8,688
ფულადი შემოსავალი	49,380	30,000
გადახდილი ფულადი სახსრები	(43,082)	(6,375)
სხვა	604	255
საბალანსო ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	70,474	32,568
უცხოური ვალუტის კონვერტაცია	5,518	-
ფულადი შემოსავალი	247,315	39,900
გადახდილი ფულადი სახსრები	(110,510)	(42,600)
სხვა	617	78
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	213,414	29,946

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდის“

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

ცხრილი 2.1.3

(თანხები გამოხატულია ათას ლარებში)

დასახელება	31 დეკემბერი, 2017წ.	31 დეკემბერი, 2016წ.
გრძელვადიან აქტივებში გადასახდელი თანხები	9,489	6,531
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	5,874	9,921
თანამშრომლებზე გასაცემი ხელფასები	2,766	1,659
სხვა დავალიანება	163	178
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	18,292	18,289

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გრძელვადიან აქტივებთან დაკავშირებით კომპანიის მიმდინარე დავალიანება შპს „თეგეტა ქონსტრაქშენის“, FIRAT Plastik Kaucuk ve Ticaret A.S-ისა და სს „ენერგოსერვისის“ მიმართ შეადგენდა, შესაბამისად, 3 651 000 ლარს, 1 114 000 ლარს და 1 019 000 ლარს.

შემოსავლები

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია აკმაყოფილებს სახელშეკრულებო ვალდებულებას იმ ოდენობით, რომელიც უტოლდება საზღაურს, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოიპოვებს საქონლის ან მომსახურების

კლიენტებისთვის გადაცემით, შემოსავლის აღიარებისთვის საჭიროა კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

- მოსახლეობის წყალმომარაგებიდან მიღებული შემოსავალი;
- იურიდიული პირების წყალმომარაგებიდან მიღებული შემოსავალი;
- შემოსავალი წყლის მრიცხველების დამონტაჟებიდან;
- შემოსავალი ელექტროენერჯის რეალიზაციიდან;
- შემოსავალი ქსელთან მიერთების მომსახურებიდან;

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდის“

შემოსავალი წყალმომარაგებიდან

ცხრილი 2.1.4


(თანხები გამოხატულია ათას ლარებში)

დასახელება	2017	2016
იურიდიული პირების წყალმომარაგებიდან მიღებული შემოსავალი	77,977	71,274
ფართო მოსახლეობის წყალმომარაგებიდან მიღებული შემოსავალი	29,789	28,357
სულ შემოსავალი წყალმომარაგებიდან	107,766	99,631

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“

წყალმომარაგებიდან მიღებული შემოსავლის დიაგრამა

დიაგრამა 2.1.1



შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“

სხვა შემოსავალი

ცხრილი 2.1.5

(თანხები გამოხატულია ათას ლარში)

დასახელება	2017	2016
შემოსავალი ქსელთან მიერთების მომსახურებიდან	2,497	4,334
შემოსავალი წყლის მრიცხველების დამონტაჟებიდან	894	5
შემოსავალი იჯარიდან	605	701
შემოსავალი ჰიდროელექტროსადგურისთვის წყლის მიყიდვიდან	280	-
მართვის ჰონორარი	259	345
სხვა შემოსავალი, სულ	4,535	5,385

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდის“ შემოსავლები საერთო ჯამში მზარდი ტენდენციით ხასიათდება, რაც კომპანიის ფინანსურ სტაბილურობაზე მიუთითებს. აღნიშნული მდგომარეობა 2018 წელსაც გაგრძელდა და სულ შემოსავლები 2017 წელთან შედარებით 10 691 000 ლარით გაიზარდა.

2.2 საწარმოს ფინანსური მდგრადობის ანალიზი და შეფასება

საწარმოთა წარმატებისა და სტაბილურობის საფუძველია კონკურენტუნარიანობის ამაღლება, რაც შეუძლებელია მიღწეულ იქნას ფინანსური მდგრადობის გარეშე. კომპანიის საქმიანობის სათანადო მონიტორინგით და ფინანსური დაგეგმვით შესაძლებელია რისკების თავიდან აცილება.

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდრის“

საკუთარ და მოზიდული კაპიტალის ფარდობის კოეფიციენტები

ცხრილი 2.2.1

(თანხები გამოხატულია ათას ლარებში)


N	მაჩვენებელი	2014	2015	2016	2017
1	საკუთარი კაპიტალი	193,872	211,687	262,273	249.523
2	მოზიდული კაპიტალი	122,373	119,536	128,200	291.309
2	თანაფარდობა (1/2)	1.58	1.77	2.04	0.85

როგორც ცხრილიდან ვხედავთ კოეფიციენტების მნიშვნელობა 2014, 2015 და 2016 წლებში საკმაოდ მაღალია და შეიძლება ითქვას, რომ კომპანიას კარგი და მდგრადი ფინანსური სტრუქტურა გააჩნია. 2017წელს კოეფიციენტის საგრძნობი კლება გამოიწვია ნანსესხები სახსრების მკვეთრმა ზრდამ 242.414 ლარით.

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“
საკუთარი და მოზიდული კაპიტალის დიაგრამა

დიაგრამა 2.2.1

(თანხები გამოხატულია ათას ლარებში)



საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი

საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი ახასიათებს საწარმოს მესაკუთრეთა წილს საწარმოს საქმიანობაში. მისი ოპტიმალური მნიშვნელობა 0,5-0,8 ფარგლებში მერყეობს. რაც უფრო მაღალია ამ კოეფიციენტის მნიშვნელობა, მით უფრო

მდგრადია საწარმო ფინანსურად. საერთოდ, მიღებულია, რომ საკუთარი კაპიტალის წილი აღემატებოდეს მოზიდული კაპიტალის წილს, რადგან ამ შემთხვევაში უფრო დიდია იმის ალბათობა, რომ ვალები საკუთარი სახსრებით დაიფარება. აღნიშნული მაჩვენებელი საწარმოს გრძელვადიანი გადახდისუნარიანობის მაჩვენებელია.

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდის“

საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტები

ცხრილი 2.2.2

(თანხები გამოხატულია ათას ლარებში)


N	მაჩვენებელი	2014	2015	2016	2017
1	საკუთარი კაპიტალი	193,872	211,687	262,273	249.523
2	მთლიანი აქტივები	316,245	331,223	390,473	540.832
3	თანაფარდობა	0.61	0.63	0.67	0.46

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდის“

საკუთარი და მთლიანი კაპიტალის დიაგრამა

დიაგრამა 2.2.2

(თანხები გამოხატულია ათას ლარში)



კომპანიის საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი 2014, 2015 და 2016 წლებში ექცევა ოპტიმალურ ჩარჩოში, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს კომპანიის ფინანსურ მდგრადობას, თუმცა ეს ტენდენცია 2017 წელს აღარ გრძელდება, რაც არ მიუთუთებს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, თუმცა ამ კოეფიციენტის შემცირება გამოიწვია მთლიანი აქტივების 150,359 ლარით გაზრდამ.

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდის“

ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები

ცხრილი 2.2.3

(თანხები გამოხატულია ათას ლარებში)

N	მაჩვენებლები	ცვლილება წინა წელთან შედარებით						
		2014	2015	2016	2017	2015	2016	2017
1	აქტივები	316,245	331,223	390,473	540,832	14,978	59,250	150,36
2	გრძელვადიანი აქტივები	287,21	300,446	338,24	464,086	13,24	37,79	125,846
3	მიმდინარე აქტივები	29,035	30,777	52,233	76,746	1,74	21,46	24,513
4	საკუთრი კაპიტალი	193,872	211,687	262,273	249,523	17,815	50,586	12,75
5	გრძელვადიანი ვალდებულებები	102,227	74,890	83,941	257,232	-27,337	9,051	173,291
6	მიმდინარე ვალდებულებები	20,146	44,646	44,259	34,077	24,500	-387	-10,182

7	ნასესხები სახსრების კონცენტრაციის კოეფიციენტი (5+6/1)	0,39	0,36	0,33	0,54	-0,03	-0,003	0,21
8	სახსრების მობილურობის კოეფიციენტი (3/2)	0,10	0,11	0,15	0,17	0,01	0,04	0,02
9	გრძელვადიან დაბანდებათა სტრუქტურის კოეფიციენტი (5/2)	0,36	0,249	0,248	0,55	-0,11	-0,01	0,3


განხილულ მაჩვენებლებზე დაყრდნობით ვერ ვიტყვით, რომ კომპანიის ფინანსური მდგომარეობა ხასიათდება მზარდი ტენდენციით. მაგალითად, ნასესხები სახსრების კონცენტრაციის კოეფიციენტი 2017 წელს 0,5-ს აღემატება, რაც არასასურველია. ხოლო გრძელვადიან დაბანდებათა სტრუქტურის კოეფიციენტის ზრდა და ამავე დროს მნიშვნელოვანი, გარე ინვესტორებზე დამოკიდებულების ზრის მაჩვენებელია და არასასურველია. აღნიშნული გარემოება დაფიქსირდა ასევე 2017 წელს.

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“

ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლების გრაფიკი

გრაფიკი 2.2.1

(თანხები გამოხატულია ათას ლარებში)



შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“

ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტები

ცხრილი 2.2.4

(თანხები გამოხატულია ათას ლარებში)

N	მაჩვენებელი	2014	2015	2016	2017
1	მთლიანი აქტივები	316,245	331,223	390,473	540.832
2	საკუთარი კაპიტალი	193,872	211,687	262,273	249.523
3	თანაფარდობა (1/2)	1.63	1.56	1.48	2.16

ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი 2015 წლიდან კლებას იწყებს, თუმცა შემდეგ წლებში მდგომრეობა უმჯობესდება.

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდის“

გრძელვადიან დაბანდებათა სტრუქტურის კოეფიციენტი

ცხრილი 2.2.5


(თანხები გამოხატულია ათას ლარებში)

N	მაჩვენებელი	2014	2015	2016	2017
1	გრძელვადიანი ვალდებულებები	102,227	74,890	83,941	257,232
2	გრძელვადიანი აქტივები	287,210	300,446	338,240	464,086
3	თანაფარდობა (1/2)	0,36	0,25	0,25	0,55

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდის“
გრძელვადიან დაბანდებათა სტრუქტურის
კოეფიციენტის დიაგრამა

დიაგრამა 2.2.3

(თანხები გამოხატულია ათას ლარებში)



როგორც ვხედავთ, საწარმოს დამოკიდებულება გარე ინვესტორებზე სულ უფრო იზრდება (2015-2016 წლებში კოეფიციენტი სტაბილურია) წლების მიხედვით, თუმცა თუ კომპანიის ფინანსური მდგრადობის კონდიციას გავითვალისწინებთ აღნიშნული საკითხი არ არის საგანგაშო.

კიდევ ერთი საინტერესო კოეფიციენტია მიმდინარე ვალდებულებების დაფარვის კოეფიციენტი.

აღნიშნული კოეფიციენტი ახასიათებს საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები მიმდინარე და მთლიანი ვალდებულებების რა ნაწილს ფარავს.

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდრის“
 ვალდებულებების დაფარვის კოეფიციენტი

ცხრილი 2.2.6


(თანხები გამოხატულია ათას ლარებში)

N	მაჩვენებელი	2014	2015	2016	2017
1	საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფული	47,862	51,852	48,299	47,495
2	მიმდინარე ვალდებულებები	20,146	44,646	44,259	34,077
3	მთლიანი ვალდებულებები	122,373	119,536	128,200	291,309
4	მიმდინარე ვალდებულებების დაფარვის კოეფიციენტი (1/3)	0,39	0,43	0,38	0,16
5	ვალდებულებების დაფარვის კოეფიციენტი (1/2)	2,38	1,16	1,09	1,39

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდის“

ვალდებულებების დაფარვის კოეფიციენტების დიაგრამა

დიაგრამა 2.2.4



ვალდებულებების დაფარვის კოეფიციენტებს, რომლებიც გაიანგარიშება წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადებით, ძალიან ხშირად იყენებენ ბანკები და სხვა საკრედიტო დაწესებულებები, რათა დაადგინონ კომპანიის გადამხდელუნარიანობა და ფინანსური რისკები ვალდებულებების დაუბრუნებლობაზე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მიმდინარე ვალდებულების დაფარვის კოეფიციენტი 2015 წელს გაიზარდა, რაც დადებითი ფაქტორია, თუმცა ეს ტენდენცია შემდეგ წელში აღარ ნარჩუნდება და კოეფიციენტი იწყებს კლებას.

ფინანსური ლევერიჯი

ფინანსური ლევერიჯის დონეზე მოქმედებს სხვადასხვა ფაქტორები:

- მფლობელთა დამოკიდებულება რისკისადმი -რისკისადმი მფლობელთა არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულებისას უპირატესობა ენიჭება მცირე რისკს და შესაბამისად, შემოსავლიანობის შემცირებულ ნორმას. შემოსავლების მცირე ნორმა დიდად სახარბიელო არ არის, მაგრამ რისკის დაბალი დონე მაღალ სტაბილურობას ნიშნავს და ეს უფრო მისაღები სიტუაციაა, ვიდრე პირიქით.
- მენეჯერთა დამოკიდებულება რისკისადმი - მენეჯერები ბიზნესში მნიშვნელოვანი „ადამიანური კაპიტალის“ ინვესტირებას ახდენენ და დამოკიდებული არიან კომპანიის ფინანსურ კეთილდღეობაზე. ამიტომ მათი განწყობა ლევერეჯის მაღალი დონისადმი შეიძლება უარყოფითი იყოს, რადგან სამუშაო ადგილისა და შემოსავლების დაკარგვის საშიშროება შეექმნებათ. მიუხედავად ამისა, თუ მათ ფინანსურ სტიმულებს სთავაზობენ, ისინი მზად არიან თავის თავზე მაღალი ფინანსური რისკის ასაღებად. ანუ მენეჯერები, რომელთა ფინანსური წახალისებაც დამოკიდებულია აქციონერთა შემოსავლიანობაზე, მზად არიან მიიღონ ლევერეჯის მაღალი დონე.
- კრედიტორების დამოკიდებულება კომპანიისადმი - კრედიტორებს აღელვებთ კომპანიის უნარი დოულად გადაიხადონ პროცენტები სავალო ვალდებულებებზე. ამ გარემოებებზე გავლენას ახდენს რენტაბელობა, ფულადი სახსრების გენერირების უნარი, კრედიტის უზრუნველყოფა, მუდმივი დანახარჯები, სააქციო კაპიტალის ხელმისაწვდომობა.

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“

ფინანსური ლევერიჯი

ცხრილი 2.2.7


(თანხები გამოხატულია ათას ლარებში)

N	მაჩვენებელი	2014	2015	2016	2017
1	აქტივები	316,245	331,223	390,473	540,832
2	საკუთარი კაპიტალი	193,872	211,687	262,273	249.523
3	ფინანსური ლევერიჯი (1/2)	1,63	1,56	1,49	2,17

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდის“

ფინანსური ლევერიჯის გრაფიკი

გრაფიკი 2.2.2



რაც უფრო მაღალია აქტივები საკუთარ კაპიტალზე მით უფრო იზრდება ნასესხები კაპიტალის წილი და შესაბამისად ფინანსური რისკებიც. შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ლევერეჯი 2015 და 2016 წლებში შემცირდა 1,56 და 1,49-მდე, რაც დადებითი ფაქტორია, თუმცა 2017 წელს აღინიშნება კოეფიციენტის საგრძნობი მატება 2,17-მდე და ეს კომპანიის ფინანსურ რისკებზე მიუთითებს.

2.3 საწარმოს მოგებისა და მომგებიანობის ანალიზი

მოგება საწარმოო საქმიანობის განხორციელებისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. მოგება არის საბოლოო ფინანსური შედეგი და განისაზღვრება როგორც შემოსავალი და წარმოებისა და გაყიდვის ხარჯებს შორის სხვაობა. მთავარი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს მომგებიანობას სწორედ მოგებაა. მომგებიანობის ანალიზი მნიშვნელოვანია, რათა განვსაზღვროთ რა არის საწარმოს საქმიანობის საბოლოო შედეგი, ვინაიდან ნებისმიერი ბიზნეს საქმიანობა მოგების მისაღებად ხორციელდება.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზისთვის საერთაშორისო პრაქტიკით შემოთავაზებულ მომგებიანობის მაჩვენებლებს, მათი ეფექტიანობიდან გამომდინარე, კერძო და ზოგად მაჩვენებლებად გამოყოფენ. ეს მაჩვენებლები ერთმანეთისგან მათი გამოყენების მიზნებით, გაანგარიშების მეთოდებითა და მათ საფუძველზე გაკეთებული დასკვნებით განსხვავდებიან. ეფექტიანობის ყველა მაჩვენებლის გამოყენება საწარმოს

ფინანსური მდგომარეობის ანალიზისას ყოველთვის ვერ ხერხდება, მაგრამ ამ დროს მიზაბშეწონილია მათგან უფრო პრიორიტეტული მაჩვენებლის შერჩევა.

მომგებიანობის მაჩვენებლების დაჯგუფება შეგვიძლია შემდეგნაირად:

- აქტივებზე შემოსავლის კოეფიციენტი;
- უკუგება გამოყენებულ კაპიტალზე (ROCE), ანუ გამოყენებული კაპიტალის რენტაბელობა;
- საერთო მოგების მარჟა;
- საოპერაციო მოგების მარჟა;
- წმინდა მოგების მარჟა და ზოგადი მაჩვენებლები;
- უკუგება ჩვეულებრივი აქციების მფლობეთა კაპიტალზე (ROE), ანუ საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა;
- ინვესტიციების რენტაბელობა (ROI);
- აქტივების რენტაბელობა (ROA).

აქედან, საერთო მოგების მარჟა მიუთითებს თუ რა რაოდენობის საერთო მოგება მოაქვს რეალიზებულ პროდუქციას, საქონელსა და გაწეულ მომსახურებას, ანუ ეს არის მოგების მარჟა, რომელსაც საწარმო აწესებს რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების ერთეულზე და მოსალოდნელია, რომ გონივრულობის ფარგლებში მუდმივი დარჩება.

რაც შეეხება წმინდა მოგების მარჟას, იგი გამოითვლება წმინდა მოგების შეფარდებით რეალიზაციის მოცულობასთან. ეს კოეფიციენტი განსაზღვრავს წმინდა მოგების ოდენობას, რომელიც რჩება პროდუქციის, თუ მომსახურების გაყიდვის შედეგად ყველა დანახარჯის გამოკლების შემდეგ.

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მომგებიანობის ანალიზი მოგება-ზარალის ანგარიშგების დინამიკის შესწავლით დავიწყით.

ცხრილი 2.3.1

(თანხები გამოხატულია ათას ლარებში)

მოგება-ზარალის ანგარიში (ათას ლარებში)	2014	2015	2016	2017
შემოსავალი წყალმარაგებიდან	90.377	94,663	99,631	107,766
შემოსავალი ელექტროენერჯის რეალიზაციიდან	8.673	13,271	9,430	6,423
შემოსავალი ქსელის რეალიზაციიდან	11.728	-	-	-
სხვა შემოსავალი	4.428	4,735	5,385	4,535
სულ შემოსავალი	115.206	112,669	114,446	118,724
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(17.714)	(19,117)	(15,163)	(17,460)
ელექტროენერჯის და გადაცემის ხარჯები	(8,673)	(9,826)	(12,647)	(12,962)
ნედლეული, საწვავი და სხვა სახარჯი მასალები	(5,510)	(4,551)	(2,529)	(2,590)
ტექნიკური მომსახურების ხარჯი	(4,302)	(4,090)	(2,772)	(3,116)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(2,645)	(2,764)	(2,914)	(3,473)
გადასახადებელი მოგების გადასახადის გარდა	(4,216)	(3,051)	(2,930)	(3,339)
პროფესიული გასამრჯელო	(1,043)	(2,140)	(1,825)	(2,279)
სავაჭრო დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი	(5,197)	169	(1,495)	(656)

რეზერვების შემობრუნება/(შექმნა) დაიურიდიულ სარჩელეებთან დაკავშირებული ხარჯები	-	-	(755)	2
(გადასახადი)/რეზერვის აღდგენაზე	3,119	(168)	-	-
ქსელის რეალიზაციის ხარჯი	(9,668)	-	-	-
სხვა შემოსავალი	1,070	643	2,122	1,738
სხვა საოპერაციო ხარჯები	(7,350)	(6,303)	(7,400)	(10,892)
	(62,129)	(51,198)	(48,308)	(55,027)
შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე	53,077	61,471	66,138	63,697
ფინანსური შემოსავალი	1,657	1,662	2,177	5,049
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	(3,785)	(21,783)	(11,291)	(13,793)
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი	(2,051)	(573)	(62)	(695)
ცვეთა და ამორტიზაცია	(13,363)	(16,004)	(15,625)	(17,771)
არარეგულარული ხარჯები	-	-	-	(1,709)
მოგება მოგების გადასახადით და ბეგვრამდე	35,535	24,773	41,337	34,778
მოგების გადასახადის ხარჯი	(5,537)	(6,711)	(1,962)	-
წლის მოგება	29,998	18,062	39,375	34,778
სხვა არაფინანსური შემოსავალი	-	-	-	-
სხვა არაფინანსური შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებში მოგება დაზარალი	-	-	26,150	-

რეკლასიფიცირებაცარხდება (წმინდა) საგადასახადოკანონმდებლობაშიშესულიცვლილებებისგავლენა				
წმინდასხვასრული შემოსავალი, რომლისშემდეგპერიოდებზემოგებადანზარალად რეკლასიფიცირებაცარხდება	-	-	26,150	-
წლისსხვასრულიშემოსავალი, წმინდა	-	-	26,150	
წლისმთლიანისრულიშემოსავალი, წმინდა	29,998	18,062	65,525	34,778

მომგებიანობის კერძო მაჩვენებლების გამოყენებით შესწავლილ იქნა შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ 2014-2017 წლების მაჩვენებლები:

ცხრილი 2.3.2

(თანხები გამოხატულია ათას ლარებში)


N	მაჩვენებლები	2014	2015	2016	2017
1	ამონაგები რეალიზაციიდან	115,206	112,669	114,446	118,724
2	საერთო მოგება	73,641	79,175	84,107	85,712
3	საოპერაციო მოგება	57,293	64,522	69,823	67,034
4	წმინდა მოგება	29.998	18.062	39.375	34.778

5	საერთო მოგების მარჟა % (2/1)	63,92	70,27	73,49	72,19
6	საოპერაციო მოგების მარჟა % (3/1)	49,73	57,27	61,01	56,46
7	წმინდა მოგების მარჟა % (4/1)	26,04	16,03	34,40	29,29

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდის“

მომგებიანობის მაჩვენებლების გრაფიკი

გრაფიკი 2.3.1



მომგებიანობის კერძო მაჩვენებლების გამოყენებით შესწავლილი შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ 2014-2017 წლების მაჩვენებლების ცვლილება წინა წელთან შედარებით:

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“

მომგებიანობის მაჩვენებლების ცვლილებების ცვლილებები წინა წელთან შედარებით

ცხრილი 2.3.3

(თანხები გამოხატულია ათას ლარებში)

N	მაჩვენებლები	2015	2016	2017
1	ამონაგები რეალიზაციიდან	-2,537	1,777	4,278
2	საერთო მოგება	5,534	4,932	1,605
3	საოპერაციო მოგება	7,229	5,301	-2,789
4	წმინდა მოგება	-11,936	21,313	-4,597
5	საერთო მოგების მარჟა % (2/1)	6,35	3,22	-1,3
6	საოპერაციო მოგების მარჟა % (3/1)	7,54	3,74	-4,55
7	წმინდა მოგების მარჟა % (4/1)	-10,01	18,37	-5,11

როგორც ცხრილიდან ჩანს, საერთო მოგების მარჟა 2017 წელს მცირდება, ისევე როგორც საოპერაციო მოგების და წმინდა მოგების მარჟა.

განსაკუთრებული შემცირებით ხასიათდება წმინდა მოგების მარჟა. წმინდა მოგების მარჟის შემცირებას თან ახლდა რეალიზაციის მოცულობის ზრდა და წმინდა მოგების შემცირება.

საინტერესოა განვიხილოთ აქტივების მომგებიანობა და აქტივების ფინანსური რენტაბელობა.

აქტივების მომგებიანობა გვიჩვენებს რამდენი პროცენტი მოგება მიიღება აქტივების ერთ ლარზე, იგი მომგებიანობის შეფასების ზოგადი მაჩვენებელია.

იმ შემთხვევაში თუ წმინდა მოგებას გავყოფთ აქტივების ჯამზე მივიღებთ აქტივების რენტაბელობის მაჩვენებელს, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. აღნიშნული კოეფიციენტი გვიჩვენებს აქტივებში დაბანდებული ყოველი ლარიდან რამდენი ლარი რჩება კომპანიის მესაკუთრეს.

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდრის“

აქტივების მომგებიანობა და რენტაბელობა

ცხრილი 2.3.4


(თანხები გამოხატულია ათას ლარებში)

N	მაჩვენებელი	2014	2015	2016	2017
1	აქტივები	316.245	331.223	390.473	540.832
2	მოგება დაბეგვრამდე	35.535	24.773	41.337	34.778
3	წმინდა მოგება	29.998	18.062	39.375	34.778
4	აქტივების მომგებიანობა (%)	11.24%	7.48%	10.59%	6.43%
5	აქტივების რენტაბელობა (%)	9.49%	5.45%	10.08%	6.43%

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდის“

აქტივების მომგებიანობის და რენტაბელობის გრაფიკი

გრაფიკი 2.3.2



როგორც ჩანს კომპანიის აქტივების მომგებიანობა ისევე როგორც რენტაბელობა დინამიკაში კლებულობს, 2017 წელს კომპანია ყოველი 1 ლარის აქტივზე ღებულობს 6.43%-იან მოგებას, 2014 წელს კი აღნიშნული მაჩვენებლები შეადგენდა 11.24% და 9.49%-ს. კოეფიციენტების შემცირება გამოიწვია, კომპანიის აქტივების ზრდამ, ასევე დაბეგვრამდე მოგებისა და წმინდა მოგების შემცირებამ.

აქტივების რენტაბელობის გარდა მნიშვნელოვანია შევავასოთ კომპანიის საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა ROE. ეს კეფიციენტი მიმზიდველია აქციონერებისთვის და გვიჩვენებს რა მოცულობის მოგება რჩება საწარმოში, მესაკუთრეების მიერ მასზე მინდობილი კაპიტალიდან. ზოგადად მიღებულია, რომ აღნიშნული მაჩვენებლის ოდენობა 15%-20%-ს შორის მიმზიდველია ინვესტორებისთვის, თუმცა კოეფიციენტის სხვადასხვა ოპტიმალური ვარიაციები დამოკიდებულია დარგის საქმიანობაზე. აღნიშნული კოეფიციენტის ნაკლოვანება ისაა, რომ თუ კომპანიის ფინანსურ სტრუქტურაში ვალდებულებები არაპროპორციულადაა წარმოდგენილი, რაც იწვევს საკუთარი კაპიტალის მკვეთრად შემცირებას, მაშინ საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის

კოეფიციენტი მნიშვნელოვნად გაიზარდა, შედეგად კოეფიციენტი რეალური სურათის ამსახველი აღარ იქნება, ამიტომ ინვესტორებმა აღნიშნული კოეფიციენტი იზოლირებულად არ უნდა განიხილონ, მნიშვნელოვანია, მისი დაკავშირება ისეთ კოეფიციენტთან როგორცაა: ROCE აქტივების მომგებიანობა საკუთარ და გრძელვადიან ვალდებულებებით მოზიდულ სახსრებზე.

ROCE კარგად ახასიათებს იმ მთელ რესურსებს, რაც ხელმისაწვდომია ბიზნესისთვის, ზოგადად რაც უფრო დიდია აღნიშნული კოეფიციენტის მნიშვნელობა მით უკეთესია.

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდის“

ROE და ROCE

ცხრილი 2.3.5

(თანხები გამოხატულია ათას ლარებში)


N	მაჩვენებელი	2014	2015	2016	2017
1	წმინდა მოგება	29.998	18.062	39.375	34.778
2	საკუთარი კაპიტალი	193,872	211,687	262,273	249.523
3	მოგება დაბეგვრამდე	35.535	24.773	41.337	34.778
4	გრძელვადიანი	102,227	74,890	83,941	257,232

	ვალდებულებები				
5	საოპერაციო მოგება	57,293	64,522	69,823	67,034
6	ROE %	15.47%	8.53%	15.01%	13.94%
7	ROCE %	12.01%	8.65%	11.94%	6.86%

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდის“

ROE და ROCE დინამიკის გრაფიკი

გრაფიკი 2.3.3



ცხრილიდან 2.3.5 ჩანს, რომ წმინდა მოგება 2014 წელთან შედარებით 2017 წელს საგრძნობლად გაზრდილია, რაც ხაზს უსვამს მენეჯმენტის ეფექტურ მუშაობაზე. ROE კოეფიციენტის მნიშვნელობის მცირედი შემცირება შეინიშნება, თუ არ ჩავთვლით 2015 წელს. რაც შეეხება ROCE-ს, მისი მნიშვნელობა 2017 წელს 5,08%-ით მცირდება, რისი მიზეზიც არის რეალიზაციის მოცულობის შემცირება და საერთო ადმინისტრაციული ხარჯების ზრდა აღნიშნულ წელს. საერთო ჯამში კი მდგომარეობა სტაბილურია.

2.4 საწარმოს ლიკვიდურობის ანალიზი

ლიკვიდურობა წარმოადგენს ცალკეულ ფასეულობათა ფულად ფორმაში გადასვლის უნარს, თავისი საბალანსო ღირებულების არსებითი ცვლილების გარეშე. ლიკვიდურობის ხარისხი განისაზღვრება დროის ხანგრძლივობით, რომლის განმავლობაშიც ეს ტრანსფორმაცია შეიძლება განხორციელდეს.

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“

ლიკვიდურობა


ცხრილი 2.4.1

წელი	მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი
2014	1,44	0.9	0.47
2015	0,69	0.45	0.15
2016	1,18	1.02	0.58
2017	2,25	1.76	1.09

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდის“

ლიკვიდურობის გრაფიკი

გრაფიკი 2.4.1



როგორც ცხრილიდან და გრაფიკიდან ჩანს კომპანიის მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი კლებადია 2014 წლიდან 2015 წლამდე, თუმცა 2015 წლიდან ზრდადია და 2017 წელს მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი არის 2,25, აღნიშნული დადებითი მაჩვენებელია, ეს ნიშნავს, რომ მიმდინარე დავალიანების ყოველ 1 ლარზე 2,25 ლარის ღირებულების აქტივები არსებობს, რაც საიმედო მაჩვენებელია.

სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი, როგორც წესი ნაკლებია მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტზე, როგორც გრაფიკიდან ჩანს ამ შემთხვევაშიც ლიკვიდურობა მნიშვნელოვნად ზრდადია 2015 წლიდან, რაც დადებითად მეტყველებს კომპანიის გადახდისუნარიანობაზე.

აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი მხოლოდ 2015 წელს ოპტიმალური დონის 0,15-ის ტოლი. საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ კომპანიის ლიკვიდურობა არც თუ ისე დამაკმაყოფილებელია, უმჯობესი იქნება თუ ფულადი საშუალებებისა და მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებების ხვედრითი წილი გაიზრდება. ზოგადად მნიშვნელოვანია, რომ მოცემული ლიკვიდურობის კოეფიციენტები შევუდაროთ

ინდუსტრიის საშუალო მაჩვენებლებს, ასევე გამოვიყენოთ ბენჩმარკინგი, რათა გავიგოთ როგორია გადახრების ოდენობა და მოვახდინოთ მათი ანალიზი კომპანიის ლიკვიდურობის ზრდისათვის, თუმცა საქართველოს პირობებში აღნიშნული პროცედურის ჩატარება საკმაოდ რთულია ინფორმაციული სიმწირის გამო, რასაც ფინანსური ანგარიშგების საჯაროობის პრობლემა ჰქვია.

2.5 საწარმოს გაკოტრების ანალიზი

გაკოტრება საწარმოს ფინანსური შესაძლებლობების სრულად დაკარგვას ნიშნავს. კომპანიას აღარ რჩება თავისი გადახდისუნარიანობის აღდგენის უნარი. ეს საწარმოს ისეთი მდგომარეობაა, როდესაც მას არ გააჩნია სოციალური მნიშვნელობა, მისი ეკონომიკური და საწარმოო პეტანციალი და მის მიერ გამოშვებული პროდუქცია არ არის კონკურენტუნარიანი. ეს ორგანიზაცია უკვე ექვემდებარება ლიკვიდაციას და გაყიდვას, რათა დაკმაყოფილდეს კრედიტორთა მოთხოვნები.

როდესაც საწარმო არამდგრად ფინანსურ მდგომარეობაშია იგი კარგავს ფინანსურ შესაძლებლობებს, მაგრამ ამ დროს შესაძლებელია საწარმოს სრული ფინანსური კრახისგან ხსნა.

გაკოტრების ანალიზისათვის საერთაშორისო პრაქტიკაში გაოიყენება შემდეგი მოდელები

ალთმანის მოდელი

ალთმანის მოდელი არის ხუთფაქტორიანი მოდელი რომელიც წარმოადგენს ლიკვიდურობის, ფინანსური მდგრადობის, რენტაბელობის, საკუთარი კაპიტალის დაფარვის მაჩვენებლების მიხედვით შედგენილ ფუნქციას, რომელიც ახასიათებს საწარმოს ეკონომიკურ პოტენციალს და გასულ პერიოდში მისი საქმიანობის შედეგებს. ალთმანის მოდელს აქვს შემდეგი სახე:

$$Z = 1.2 * X1 + 1.4 * X2 + 3.3 * X3 + 0.6 * X4 + 1 * X5$$

მაჩვენებლები გაიანგარიშება შემდეგნაირად:

X₁-სამუშაო კაპიტალი/მთლიანი აქტივები

X₂- გაუნაწილებელი მოგება/მთლიანი აქტივები

X₃- მოგება პროცენტებისა და გადასახადების გადახდამდე/მთლიანი აქტივები

X₄- კაპიტალის საბაზრო ღირებულება/ვალდებულებები

X₅- გაყიდვები/მთლიანი აქტივები

ალთმანის მოდელით შესაძლებელია დადგინდეს მოსალოდნელი გაკოტრება 2-3. თუ Z კოეფიციენტი > 2.99, მაშინ ფირმა უსაფრთხო ზონაში. თუ კოეფიციენტი 1.81 < Z < 2.99 ფარგლებშია, მაშინ ფირმა იმყოფება ნაცრისფერ ზონაში, ხოლო როდესაც Z < 1.81, ითვლება რომ ფირმას ორ წელიწადში გაკოტრება ემუქრება.

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდრის“

ალთმანის მოდელი Z


ცხრილი 2.5.1

მაჩვენებელი	2014	2015	2016	2017
ალტმანი Z	2,85	2,68	3,04	2,13

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“

ალტმანის მოდელის გრაფიკი

გრაფიკი 2.5.1



როგორც ცხრილიდან ჩანს, 2014, 2015 და 2017 წლებში კომპანია იმყოფება ნაცრისფერ ზონაში, სადაც გაკოტრების რისკები არ არის მაღალი, თუმცა აბსოლუტური უსაფრთხოება არაა მიღწეული. დადებითი ფაქტორი ისაა, რომ აღნიშნული კოეფიციენტი იზრდება 2016 წელს, 2017 კი წელს ფიქსირდება შემცირება.

სპრინგეითის მოდელი

1978 წელს სიმონ ფრეიზერის უნივერსიტეტში ე. ალთმანის მოდელის საფუძველზე გორდონ ლ.ვ. სპრინგეითის მიერ შეიქმნა მოდელი, რომელსაც შემდგომში სპრინგეითის მოდელი ეწოდა, მისი შექმნისას გამოყენებული, საუკეთესოდ მიჩნეული 19 ფინანსური კოეფიციენტდან საბოლოო ვარიანტში დატოვებულია მხოლოდ 4 კოეფიციენტი.

$$Z = 1.03A + 3.07 B + 0.66 C + 0.4 D$$

A – (სამუშაო კაპიტალი)/(მთლიანი აქტივები)

B- (მოგება გადასახადამდე და პროცენტებამდე)/(მთლიანი აქტივები)

C – (მოგება დაბეგვრამდე)/(მოკლევადიანი ვალდებულებები)

D- გაყიდვები/(მთლიანი აქტივები)

კომპანია მიიჩნევა გაკოტრების საფრთხის ქვეშ ან ფინანსურად არასტაბილურად თუ Z- ის მნიშვნელობა ნაკლებია 0,862-ზე.

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“

სპრინგეითის მოდელი


ცხრილი 2.5.2

მაჩვენებელი	2014	2015	2016	2017
სპრინგეითი Z	1.68	0.69	1.08	1.04

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“

სპრინგეითის მოდელის გრაფიკი

გრაფიკი 2.5.2



გრაფიკიდან ჩანს, რომ კომპანია რისკის ქვეშ იმყოფებოდა 2015 წელს, რაც გაყიდვების შემცირებამ გამოიწვია, თუმცა 2016 და 2017 წლებში მდგომარეობა გაუმჯობესდა.

დასკვნა

ნაშრომში განხილულია შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ საწარმოს ლიკვიდურობა, ფინანსური მდგრადობა, ასევე ჩატარდა საწარმოს მომგებიანობისა და საინვესტიციო ეფექტიანობის ანალიზი და საწარმოს გაკოტრების ანალიზი. ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა ძირითადი მაჩვენებლების ცვლილების ტენდენციები, გამოვლინდა ამ ცვლილებების გამომწვევი მიზეზები და გაკეთდა შესაბამისი დასკვნები.

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მაჩვენებელი 2015 და 2016 წლებში შემცირდა, თუმცა 2017 წელს გაიზარდა და ნასესხები სასხრების ზრდაზე მიუთითებს, რაც თავის მხრივ საწარმოს ფინანსურ სტაბილურობას საფრთხის წინაშე აყენებს. სწორედ აქედან გამომდინარე, ეს ფაქტორი შესაბამისად აისახება გრძელვადიან დაბანდებათა სტრუქტურის ზრდით 2017 წელს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ 2017 წელს კომპანიას ინვესტიციების განსახორციელებლად დასჭირდა დამატებითი ფინანსური რესურსის მოზიდვა და უკვე ეს ფინანსური ოპერაცია დადებითად აისახება მომავალ ეფექტურ შედეგებზე.

კომპანიის საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი 2014, 2015 და 2016 წლებში ექცევა ოპტიმალურ ჩარჩოებში, რაც გამოხატავს კომპანიის ფინანსურ მდგრადობას, თუმცა აღნიშნული კოეფიციენტი 2017 წელს მცირდება, რაც გამოიწვია მთლიანი აქტივების 150 359 000 ლარით გაზრდამ. ზოგადად, კომპანიის ფინანსური მდგრადობა შესაძლებელია შეფასდეს, როგორც აბსოლუტურად მდგრადი, ვინაიდან ოთხივე საანალიზო წელს კომპანია საკუთარი სახსრებით აფინანსებს ძირითადი საქმიანობისთვის საჭირო რესურსების საკმაოდ დიდ ნაწილს.

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ფინანსური ლევერიჯი 2017 წელს გაიზარდა 2,17-მდე, თუმცა წინა წლებში სტაბილურად მცირდებოდა, რაც დადებით ფაქტორს წარმოადგენს. ფინანსური ლევერიჯის დონე შეიძლება ითქვას, ოთხივე წელს

დამაკმაყოფილებელია 2017 წლის გადა, რაც აქტივების საგრძნობად გაზრდამ გამოიწვია. საბოლოოდ კი კომპანიის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და ფინანსური რისკების სიმცირეზე მიუთითებს.

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ფინანსური მონაცემების ანალიზით ასევე ირკვევა, რომ კომპანიის მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი მაღალია და მნიშვნელოვნად ზრდადია 2015 წლიდან მოყოლებული, 2017 წელს მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი არის 2,25. აღნიშნული მაღალი მაჩვენებელია, ეს ნიშნავს რომ მიმდინარე დავალიანებების ყოველ 1 ლარზე 2,25 ლარის ღირებულების აქტივები არსებობს, რაც საკმაოდ საიმედოა. რაც შეეხება სწრაფი და აბსოლუტური ლიკვიდურობის მაჩვენებლებს, მათი მნიშვნელობებიც 2015 წლიდან ზრდადი დინამიკით ხასიათდება და კიდევ ერთხელ გამოიკვეთა კომპანიის პოზოტიური ფინანსური მდგომარეობა.

კომპანიის ინფრასტრუქტურული აქტივების საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრისთვის 229,905 ათასი ლარია.

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის კომპანიამ აღიარა 107,766 ათასი ლარის ოდენობის შემოსავალი გამრიცხველიანებული წყლის მიწოდებიდან.

ფინანსური ანგარიშგების წარმოებისა და ანალიზითვის გაუმჯობესებისთვის მიზანშეწონილია აღმოიფხვრას ინფორმაციის არასრულობის ნაკლოვანება. საწარმოს ფინანსური გაჯანსაღებისთვის აუცილებელია რესურსების ოპტიმალური გამოყენების უზრუნველყოფა, მნიშვნელოვანია ნორმატივებისა და რესურსების დამზოგავი სტრატეგიების დანერგვა, დანაკარგების დინამიკის ანალიზი და მათი თავიდან აცილების ღონისძიებების შემუშავება.

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით საჭიროა თავიდან იქნეს აცილებული მოგების მკვეთრი შემცირება ვალდებულებების ზრდის პირობებში. გაკოტრების ანალიზის მეთოდების გამოყენების შედეგად დადგინდა,

რომ კომპანია გაკოტრების რისკების წინაშე არ დგას, არ დგას უახლოესი სამი წლის განმავლობაში. ზოგადად, კომპანიის ფინანსური მდგომარეობა შესაძლებელია შეფასდეს სტაბილურად, მისი ეკონომიკური პოტენციალი მნიშვნელოვნად ზრდადია. ფინანსური სტრუქტურა დამაკმაყოფილებელია, რაც საფრთხეს არ უქმნის კომპანიის გადახდისუნარიანობას.

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ მუდმივად ვითარდება, თუმცა, როგორც ნაშრომიდან ჩანს, ცალკეულ შემთხვევებში ვხვდებით არასასურველ ფინანსური შედეგებს, რომელთა გამოსწორებაც კომპანიის ფინანსურ სტაბილურობას უფრო აამაღლებს და გაამყარებს. საჭიროა გარკვეული ცვლილებები, მაგალითად:

- ანტიკრიზისული მართვით შესაძლებელი იქნება საწარმოს კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება და გაძლიერება, ასევე გაკოტრების თავიდან აცილება. ამ მიზნით კი მიზანშეწონილია, რომ კომპანიის მმართველმა რგოლმა გაატაროს გადახდისუნარიანობის აღდგენის ღონისძიებები, განახორციელოს გარე წყაროებიდან დამატებითი ინვესტიციები; ან მოახდინოს მიმდინარე პერიოდში არააუცილებელი ძირითადი საშუალებების გაყიდვა ან იჯარით გადაცემა;
- ფინანსურ გაჯანსაღებას საკმაოდ დიდ წილად უზრუნველყოფს მარკეტინგული მენეჯმენტის წარმატებულობა. ამ მიზნით, სასურველია, კომპანიის წარმომადგენლებმა შექმნან მარკეტინგის კრეატიულად მოაზროვნე ჯგუფი, რომელიც იდეალურად შეუსაბამებს საწარმოს შესაძლებლობებს მიზნობრივ ბაზარს, მოიპოვებს კონკურენტულ უპირატესობას, გაზრდის მომხმარებელთა მხრიდან სანდოობის და ხარისხის შეგრძნებას. ეს ღონისძიებები კი დროთა განმავლობაში განავითარებს და განამტკიცებს ფინანსურ მდგომარეობას;

- შესაძლებელია, რომ კომპანიის ხელმძღვანელობამ უარი თქვას მიღებული მოგების დივიდენდებზე გაცემაზე და მოახდინოს მოგების რეინვესტირება, რათა საწარმომ მომავალში კიდევ უფრო მეტი ფინანსური მოგება მიიღოს და შეამციროს არსებული, თუ მოსალოდნელი რისკის დონე;
- აუცილებელია დებიტორული დავალიანებების ბრუნვადობის დაჩქარება. ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობამ უნდა გააქტიუროს სავაჭრო კრედიტებზე ლიმიტების დაწესების პოლიტიკა, რაც დადებითი შედეგის მომტანი იქნება;
- საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია რესურსების კიდევ უფრო ეფექტიანად გამოყენება. ამისთვის საჭიროა, ხელმძღვანელობამ გაანალიზოს დანაკარგების დინამიკა და შეიმუშავოს მათი თავიდან აცილების ღონისძიებები. დანაკარგების სისტემური გამოვლინებისთვის კი მიზანშეწონილია სპეციალური არასაწარმოო ხარჯების ანგარიში დაყონ დანაკარგების სახეების მიხედვით, რაც შესაძლებლობას მისცემს კომპანიის მენეჯმენტს დანაკარგები აღრიცხონ მთლიანი ოდენობისა და ცალკეული სახეების მიხედვით;

გამოყენებული ლიტერატურა

- 1) ბასს 1, „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“, თბილისი 2018 წელი;
- 2) ბასს 7, „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“, თბილისი 2018 წელი;
- 3) ბასს 16, „ძირითადი საშუალებები“, თბილისი 2018 წელი;
- 4) ბახტაძე ლ. თუთბერიძე გ., „კორპორაციის ფინანსები“, გამომცემლობა „ვერჟე“, 2009 წელი;
- 5) კვატაშიძე ნ. ხორავა ა. გოგრიჭიანი ზ. „ფინანსური ანგარიშგება“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2010;
- 6) საქართველოს საგადასახადო კოდექსი, განახლებული 2017 წლის 16 თებერვალს;
- 7) სრესელი ნ. „აუდიტის თეორია“, თბილისი 2013 წელი;
- 8) შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდის“ აუდიტებული ფინანსური ანგარიშგება 2014-2018 წელი;
- 9) ჭილაძე ი. „ფინანსური ანალიზი“, თბილისი 2018;
- 10) ხარაბაძე ე. „ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები“, თბილისი 2018;
- 11) ხორავა ა. კვატაშიძე ნ. სრესელი ნ. გოგრიჭიანი ზ. ბუღალტრული აღრიცხვა, თეორია, ფინანსური აღრიცხვა, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით. თბილისი, 2006 წელი;
- 12) ჯიქია მ. ჩეჩელაშვილი რ. ბურდული ფ. „ეკონომიკური ანალიზი“, გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი, 2011წელი;
- 13) ჯიქია მ. „ფინანსური ანალიზი“, თბილისი 2018 წელი;;
- 14) Altman Edward I., „Predicting Financial Distress Of Companies“, Revisiting The Z-Score And Zeta® Models, July 2000;
- 15) Eugene F. Brigham, „Financial Management: Theory & Practice“, 2011;
- 16) Fernando Avarez and Martin Fridson, „Financial statement analyzis“, third edition. Published by John Wiley & Sons, Inc., New York 2002;

- 17) James C. Van Horne John M. Wachowicz, Jr. „Fundamentals Of Financial Management“, Chapter 6., 2008;
- 18) Steven M. Bragg ,“Fiancial analyzis“, Published byJohn Wiley & Sons Inc.2007;

გამოყენებული ვებ-გვერდები

- 1) <https://www.accountingcoach.com/balance-sheet/outline>
- 2) <http://www.accountingcoach.com/blog/vertical-analysis-horizontal-analysis>
- 3) <http://www.accaglobal.com/ubcs/en/student.html>
- 4) www.business-in-a-box.com/docs/
- 5) <https://corporatefinanceinstitute.com/resources/knowledge/accounting/statement-of-cash-flows/>
- 6) <http://www.investinganswers.com/financial-dictionary/financial-statement-analysis/>
- 7) <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717>
- 8) https://www.medgeo.net/2012/02/20/finansuri_analizi-4/
- 9) <http://www.myaccountingcourse.com/financial-ratios/return-on-capital-employed>
- 10) <http://www.myvce.com/Tutorials/vceacc04/Analysis/Financial.htm>
- 11) <http://www.myvce.com/Tutorials/vceacc04/Analysis/Financial.htm>
- 12) <http://www.myaccountingcourse.com/financial-ratios/>
- 13) http://www.rs.ge/Default.aspx?sec_id=4733&lang=1